კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი სოფიო გურაბანიძე

სამხრეთ კავკასია აშშ-ს გეოპოლიტიკური ინტერესების ჭრილში (ძალთა ბალანსის რეგიონული ასპექტები)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პოლიტიკურ მეცნიერებათა

დოქტორანტი, ასისტენტი ლევან ნიკოლეიშვილი

თბილისი - 2019

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური ინტერესების მიმოხილვას სამხრეთ კავკასიის რეგიონში და მასში შემავალი ქვეყნების საგარეო მიმართულებების, შიდა უსაფრთხოების პრობლემათა განხილვას და ანალიზს. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, ისტორიული ასპექტებიდან გამომდინარე ძალთა ბალანსის რეგიონალური ასპექტების გაანალიზება. სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკური მიმართულებებისა და მათი დინამიკის წარმოჩენა სხვადასხვა ფაქტორებისა და გარემობების გათვალისწინებით.

ჩვენი კვლევის მთავარი ამოცანაა აშშ-ს გეოპოლიტიკური გეოსტრატეგიული და გეოეკონომიკური ინტერესების განსაზღვრა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ნაშრომში ასევე განხილული იქნება აშშ-ს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ურთიერთობები რეგიონის სახელმწიფოებთან (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი).

საბჭოთა კავშირის დაშლამ და პოსტსაბჭოთა სივრცეში სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ, შესაბამისად მსოფლიო პოლიტიკური რუკის კორექტირებამ და გლობალურმა გეოსტრატეგიულმა ცვლილებებმა სამხრეთ კავკასია კვლავ აქცია რეგიონში მთავარ, ძლიერ მოთამაშეებს შორის გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის ობიექტად. ძირითადად ეს ეხება ორი ქვეყნის რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ ინტერესთა დაპირისპირებას.

საინტერესოდ მიგვაჩნია სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების, რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემათა მოგვარების მიზნით რეგიონში შემავალი ქვეყნების პოლიტიკისა და შესაძლო ბილატერალური ურთიერთობების ანალიზი. აქ არსებული სიტუაცია და სტაბილურობა კვლავაც აქტუალურია საერთაშორისო საზოგადოებაში, რადგან არსებობს მთელი რიგი შემაფერხებელი პროცესები, რომელიც ხელს უშლის კონფლიქტების დარეგულირებას და გაყინულ მდგომარეობაში ტოვებს მას. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომით ჩვენ შევეცდებით არსებული მდგომარეობის სრულფასოვნად წარმოჩენას და გაანალზებას.

Anotation

South Caucasus in the context of USA geopolitical interests (Balance of Power's regional aspects)

The following work for degree of Magistrate represent a review of Geo-political interests, analyses and discussion of safety problems of united states in the south region of Caucasus and including countries. The aim of this work is to analyse the aspect of balance between them according to their historical importance. It aims to show the political directions of south Caucasus region, considering various factors.

In the work will as well be discussed military, economical and politicial relations of us with the countries of the regions (Georgia, Armenia and Azerbaijan).

The destruction of soviet union and forming past-soviet countries global political changes turned South Caucasus into main target of Geo political interests among powerful forces. It mainly occurs two countries: Russia and U.S.A.

We consider to analyse political aspects of the region in order to solve the problems and conflicts of these countries existing. Situation is still active in international society, as there are some disturbing procceses which prevents the conflict from being solved. We'll try to give complete analyse of the problem.

Sopio Gurabanidze

შინაარსი

შესავალი 5

თავი I. სამხრეთ კავკასია და მისი გეოპოლიტიკური მნიშვენლობა 11

1.1 სამხრეთ კავკასიის ისტორიული და პოლიტიკური განვითარების ძირითადი ეტაპები.....12

1.2. სამხრეთ კავკასიის რეგიონის როლი, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში.....20

1.3. სამხრეთ კავკასია, როგორც გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის ადგილი.....26

თავი II. აშშ-ს ინტერესები და ურთიერთბები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან

2.1.სომხეთი, როგორც რუსეთის სატელიტი და აშშ-სომხეთის ურთიერთობები.....29

2.2. აზერბაიჯანი, როგორც ტრიმერი და მისი ურთიერთობები აშშ-თან.....34

2.3. აშშ-საქართველოს სამხედრო სტრატეგიული და პოლიტიკური ურთიერთობები.....40

თავი III. ძალთა ბალანსის რეგიონალური ასპექტები სამხრეთ კავკასიაში

3.1. რუსეთ-აშშ-ს ინტერესების დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში.....45

3.2.რეგიონული უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში.....48

3.3. კავკასიის გეოსტრატეგია და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მოდელი.....54

დასკვნა.....62

გამოყენებული ლიტერატურა.....66

შესავალი

სამხრეთ კავკასია უაღრესად მდიდარი ისტორიის მქონე და უძველესი რეგიონია. მისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე ის ყოველთვის იყო ძლიერი დამპყრობელისა თუ „პოლიტიკური მოთამაშის“ ყურადღების ობიექტი და სამხედრო სიძლიერის დამადასტურებელი მტკიცებულება. დროის ცვლილებასთად ერთად იცვლებიან მსოფლიო „პოლიტიკური თამაშის“ წამყვანი ფიგურები, მაგრამ არ იცვლება გეოპოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პატარა სახელმწიფოებს ჭირდებოდათ დახმარება ისეთი ქვეყნისაგან, რომელიც მათ სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას დაიცავდა, ასევე უსაფრთხოების გარანტი იქნებოდა რეგიონში. ასეთი ქვეყანა აშშ აღმოჩნდა, რომელსაც ყველანაირი პირობა ჰქონდა, რომ ზემოთთქმული შეესრულებინა, რადგან ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით.

მრავალი მოსაზრება არსებობს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების გაძლიერებას სამხრეთ კავკასიაში სხვა „გეოპოლიტიკური მოთამაშეების“ გავლენის შესუსტების მიზნით. ძირითადად საუბარი ეხება რუსეთსა და აშშ-ს დაპირისპირებას რეგიონში გავლენის გასაძლერებლად. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ამერიკის ზესახელმწიფოებრიობას საფრთხე არ ემუქრება, რადგან მისნაირი შესაძლებლობები, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით არავის აქვს რეგიონით დაინტერესებული ქვეყნების ჩამონათვალიდან.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სამხრეთ კავკასიაში არსებულ უსაფრთხოების სისტემაზე, მასში შემავალ სახელმწიფოებში არსებულ კონფლიქტებზე და ამ კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებზე, რაც ხელს უშლის

რეგიონის განვითარებას, ხელს უწყობს დესტაბილიზაციას და განსაზღვრავს რისკფაქტორებს.

თემის აქტუალობა

სამხრეთ კავკასიის რეგიონს ყოველთვის გააჩნდა თავისი უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ვინაიდან აღნიშნული რეგიონი მდებარეობდა და მდებარეობს ევროპისა და აზიის ქრისტიანული და ისლამური სამყაროების გზაჯვარედინზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამერიკას თავისი გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები ჰქონდა რეგიონის მიმართ მაგრამ ბოლო პერიოდში იგივე ახლო აღმოსავლეთში, აშშ-თურქეთის ურთიერთობებში ასევე აშშ-რუსეთის ურთიერთობებში განვითარებულმა მოვლენებმა, რეგიონს ახალი სტრატეგიული ფუნქცია შესძინა, რაც ამერიკას უბიძგებს რომ უფრო მეტად გააქტიურდეს სამხრეთ კავკასიის პოლიტიკაში. რეგიონი, არსებული გაყინული კონფლიქტებიდან გამომდინარე საკმაოდ უსუსურია უსაფრთხოების კუთხით და შესაბამისად ძალთა ბალანსიც ცვალებადია. ამავე დროს იზრდება საშიშროება, რომ მოხდება ლოკალიზებული კონფლიქტის ესკალაცია, რომელშიც უმალ ჩაერთვებიან დაინტერესებული გარე ძალები რაც სერიოზული საფრთხეა რეგიონისთვის.

საკვლევი კითხვები

- ✓ შეძლებს თუ არა და რა რესურსები გააჩნია ამერიკის შეერთებულ შტატებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი გეოპოლიტიკური პოზიციები სამხრეთ კავკასიის რეგიონში სხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეების გავლენის შესუსტების მიზნით?

- ✓ როგორია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ძირითადი საგარეო პოლიტიკური და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები და როგორ აისახება აღნიშნული ინტერესები ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური გავლენის შემდგომ გაფართოებაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში?

- ✓ როგორია უსაფრთხოების საკითხი სამხრეთ კავკასიაში?

ჰიპოთეზა

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ სხვადასხვა „გეოპოლიტიკური მოთამაშეების“ იტერესები იკვეთება. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული „მოთამაშეები“ იბრძვიან რეგიონში გავლენის გაზრდის მიზნით, ამ მხრივ შეგვიძლია მოვიხსენიოთ მთავარი - ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთის ფედერაცია, ევროკავშირი, თურქეთი, ირანი და ჩინეთი.

ამერიკას თავისი ეკონომიკური, სამხედრო თუ იდეოლოგიური რესურსების ფლობის შედეგად მნიშვნელოვანი ბერკეტები გააჩნია რეგიონზე გავლენის გასაზრდელად, აქედან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას რომ არსებობს გარკვეული წინაპირობა იმისა რომ თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალობების ფონზე აშშ-ის გეოპოლიტიკური გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონზე კიდევ უფრო გაიზარდოს.

თემის მიზნები და ამოცანები

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია სამხრეთ კავკასიის თანამდროვე მოვლენებისა და მის მიმართ სხვადასხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეების სტრატეგიის შედარებითი ანალიზი. თემის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს რეგიონში მდებარე სამი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების განსაზღვრა და თითოეული ქვეყნის ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების დეტალური მიმოხილვა. ძალთა ბალანსისა და უსაფრთხოების რეგიონალური ასპექტების მიმოხილვა ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც შესაძლოა მკითხველმა გააანალიზოს მოვლენების განვითარებათა შესაძლო სცენარები.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში გავარკვიეთ კონკრეტულად რა გეოპოლიტიკური, გეოკონომიკური თუ გეოსტრატეგიული რესურსები გააჩნია ამერიკას სამხრეთ კავკასიაში და როგორ შეასუსტებს ეს რესურსები რეგიონში სხვა დაინტერესებული მოთამაშეების გავლენას. ასევე განვსაზღვრეთ საგარეო პოლიტიკური და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები რეგიონში, რომელიც აისახება ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური

გავლენის შემდგომ გაფართოებაზე სამხრეთ კავკასიაში. გამოვარკვიეთ, თუ როგორ ნაწილდება ძალთა ბალანსი სამხრეთ კავკასიაში და ასევე გავიგეთ იმ დაინტერესებული ქვეყნებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებსაც სურთ გაზარდონ თავისი გავლენა ამ რეგიონში.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

ნაშრომის დამუშავების დროს გამოყენებულია „პოლიტიკური რეალიზმის " თეორია („prisoner's dilema"), რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო და სადაც განიხილება ისეთი ძირითადი ცნებები, როგორიც არის ქვეყნის ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება. ასევე გამოყენებულია „ძალთა ბალანსის" თეორია, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან. უსაფრთხოების ფენომენის მაქსიმალურად ფართო განხილვა, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას მოცემულია „სექიურითიზაციის კონცეფციაში", იგი უკავშირდება კოპენჰაგენის სკოლას, რომლის ავტორები არიან ოლი ვივერი, ბარი ბუზანი და მათი თანამოაზრეები. კვლევაში გამოყენებულია „თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია" - კოენისეული კონცეფცია, რომელიც მოიცავს საერთო საფრთხეების აღიარებას.

კვლევის მეთოდები

ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად ეფუძნება ემპირიული კვლევის მეთოდებს, რამაც საშუალება მოგვცა ძირეულად შეგვესწავლა თემის ირგვლივ არსებული თეორიული ბაზა. არსებული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანამ ვფიქრობთ გააუმჯობესა ნაშრომის ხარისხი და მოგვცა შედეგზე ორიენტირების მეტი შესაძლებლობა. თემის დამუშავებისას აგრეთვე გამოყენებულია ემპირიული კვლევის ერთ-ერთი იარაღი-ლოგიკა, ასევე გამოყენებულია პოლიტიკის კვლევის ანალიზი.

თემის პრაქტიკული მნიშვნელობა

სამხრეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენების მკვლევარებს საშუალება ექნებათ, თავად გამოიყენონ ნაშრომი პრაქტიკული დანიშნულებით. აქვე აღსანიშნავია ისიც რომ ბაკალავრიატის და თუნდაც მაგისტრატურის

სტუდენტებს, ასევე ლექტორებს, მკვლევარებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს აღნიშნული ნაშრომით საშუალება ეძლევათ გაეცნონ აშშ-ს როლსა და ურთიერთობებს სამხრეთ კავკასიის რეგიონთან მიმართებაში.

შესაძლებელია აღნიშნული მასალა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სემინარების და ლექციების ჩატარების დროს რითაც ყველა დაინტერესებული ადამიანი უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებს ამ საკითხთან დაკავშირებით და საჭიროებისამებრ გამოიყენებს მას.

კვლევის შედეგების განხილვა

ჩვენი კვლევის შედეგად, ვეცადეთ შეძლებისდაგვარად აკადემიური ხასიათის ნაშრომის შექმნა, სადაც წარმოვაჩინეთ აშშ-ის როლი როგორც საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, ისე მისი ფაქტორი სამხრეთ კავკასიაში. კვლევაში ყურადღება გამახვლებულია რეგიონის მნიშვნელობაზე ასევე ძალთა ბალანსის გადანაწილებაზე. აშშ-სა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთდამოკიდდებულებაზე და მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე.

ნაშრომში შეძლებისდაგვარად ვეცადეთ სიღრმისეულად გამოგვეკვლია და პასუხი გაგვეცა ჩვენი თემის უმთავრეს კითხვას, შეძლებს თუ არა და რა რესურსები გააჩნია ამერიკის შეერთებულ შტატებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო განამტკიცოს თავისი გეოპოლიტიკური პოზიციები სამხრეთ კავკასიის რეგიონში სხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეების გავლენის შესუსტების მიზნით, რა ხერხებით და მეთოდებით აპირებს ის მიზნის განხორციელებას. როგორია რეგიონის ქვეყნების მისწრაფებები პირველობისკენ და უშლის თუ არა ეს ხელს სამხრეთ კავკასიის საერთო კეთილდღეობას .

ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა

ჩვენი თემის ირგვლივ მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ი. გორგილაძის წიგნმა „გეოპოლიტიკის საფუძვლები“, თბილისი, 2009, სადაც გამოვლენილია მსოფლიო გლობალური და რეგიონალური გეოპოლიტიკური პროცესების გეოგრაფიული, პოლიტიკური, სამართლებრივი ფსიქოლოგიური და ა.შ. ელემენტების, აგრეთვე, მსოფლიოს გეოპოლიტიკური სტრუქტურის ძირითადი

ტენდენციები. ეს ყველაფერი დაგვეხმარა გაგვეანალიზებინა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესების ფორმირებაზე.

პატარა/სუსტი სახელმწიფოების პრობლემატიკა, ბუფერული სახელმწიფოს ცნება და მისი როლი საერთაშორისო სისტემაში განხილულია თორნიკე თურმანიძის დისერტაციაში „ბუფერული სახელმწიფოები“, თბილისი. 2010.
ამ წიგნმა საშუალება მოგვცა გაგვევო რა თვისებები ახასიათებთ ბუფერულ სახელმწიფოებს როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მოქმედ პირებს და რა დადებითი თუ უარყოფითი შედეგები მოაქვს ქვეყნისათვის ბუფერულ პოლიტიკურ ერთეულად ყოფნას პრაქტიკული თვალსაზრისით.

სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების მიდგომების და დაცვის განხილვისას ვიხელმძღვანელეთ A. Jafalian-ის წიგნით „Reassessing Security In The South Caucasus: Regional Conflicts And Transformation“, New York. 2011, სადაც განხილულია სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოება და სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის ამერიკის გავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე .

კავკასიის გეორგაფიული გარემო და კავკასია, როგორც კულტურათა და ცივილიზაციათა კონტაქტის ზონა, ასევე ერთიანი სამხრეთ კავკასიური იდენტურობის პრობლემა და ერთიანი კავკასიის იდეა ისტორიულ ჭრილში განხილული აქვს ნინო ჩიქოვანს წიგნში „რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში“, თბილისი. 2006, რაც მნიშვნელოვნად დაგვეხმარა სამხრეთ კავკასიის ისტორიული განვითარების ეტაპების გაანალიზებაში.

ზედაპირული კლიშეების მიღმა რთულ ურთიერთმიმართებას, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და აშშ-ს, მეორე მხრივ კი საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის წარმოგვიჩენს, ჰაინრიხ ბიონლის ფონდის მიერ გამოცემული წიგნი „სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“, თბილისი, 2014. რომლის რედაქტორიც გახლავთ სალომე ასათიანი, რაც დაგვეხმარა დასავლეთისა და რეგიონის ურთიერთგავლენის მიმოხილვაში.

თავი I

სამხრეთ კავკასია და მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა და გლობალურმა ცვლილებებმა წარმოშვა მთელი რიგი პრობლემები. განსაკუთრებით იმძლავრა ტერორიზმმა. ამ ვითარების რეალურად ახსნა არ შეუძლია არცერთ თეორიას, რომელიც საკმაოდ კომპლექსური და რთულად აღმოსაფხვრელია, თუმცა რეალიზმის პრინციპი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს აღწერს ძალაუფლების გადმოსახედიდან. სახელმწიფოების მიერ ერთმანეთის მიმართ ძალისმიერი ქმედებების ჩადენა ზოგჯერ რეალისტურ ან ძალისმიერ პოლიტიკად მოიხსენიება.

ამდენად ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ რეალიზმის პრინციპი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მთავარი მამოძრავებლია.

რეალისტებს მიაჩნიათ, რომ ძლიერნი აკეთებენ იმას, რისი გაკეთებაც თავიანთი ძალაუფლების წყალობით შეუძლიათ, ხოლო სუსტები იძულებით იღებენ იმას, რისი თავიდან აცილებაც არ ძალუძთ. რეალიზმის პრინციპის ერთ-ერთი სერიოზული საყრდენია ნიკოლო მაკიაველის თეზისები, სადაც მოუწოდებს მთავრებს მიზანმიმართულად ემოქმედათ, რათა ძალაუფლება შეენარჩუნებინათ და სახელმწიფოსა და სამხედრო ალიანსების მანიპულირების საშუალება ჰქონდათ.

რეალიზმის პრინციპიდან გამომდინარე ქვეყნის საგარეო პოლიტიკა დამოკიდებულია შიდა პოლიტიკაზე, შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი საგარეო პოლიტიკის სტრატეგია იდეალიზმიდან რეალიზმისკენ შემობრუნების ნათელი მაგალითია და საერთაშორისო პოლიტიკაში ძალას და ძალაუფლებას ანიჭებს მთავარ როლს. შესაბამისად სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობაშიც ამერიკის დამოკიდებულება აღნიშნულ პოლიტიკას ახორციელებს.

1.1. სამხრეთ კავკასიის ისტორიული და პოლიტიკური განვითარების ძირითადი ეტაპები

სამხრეთ კავკასია, ყოველთვის გამოირჩეოდა არა მხოლოდ თავისი ისტორიის და პოლიტიკის მრავალფეროვნებით, არამედ რეგიონით დაინტერესებულ დიდ სახელმწიფოთა სიუხვითაც. კავკასიელ ხალხს ყოველთვის გააჩნდათ საკუთარი ეროვნული ინტერესები, (რაც თითქმის არასდროს იცვლებოდა დროის და საერთაშორისო ფორმების შეცვლის მიუხედავად.) რითიც ისაზღვრებოდა როგორც ერთმანეთისადმი დამოკიდებულება, ისე მათით დაინტერესებული ყვეყნებისადმი.

ჩვენი აზრით, პირველ რიგში უნდა გაანალიზდეს კავკასიის პირველ რესპუბლიკათა ისტორიული და პოლიტიკური ყოფა და მათი განვითარების ეტაპები.

დავიწყოთ XVIII საუკუნით, როდესაც რუსეთის იმპერიამ განახორციელა საქართველოსა და კავკასიის ანექსია, რის შემდეგაც ის ცდილობდა დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი გაექრო რეგიონში და მოეხდინა კავკასიელთა რუსიფიკაცია, მაგრამ ეს ასე მარტივი არ აღმოჩნდა, რადგან ისინი გამუდმებით აწყდებოდნენ დიდ წინააღმდეგოებს კავკასიელი ხალხის მცრიდან ენის ტრადიციების და ცივილიზაციის შენარჩუნეისთვის. სიტუაცია შეიცვალა XIX საუკუნის ბოლოსთვის და ამ ბრძოლამ მიიღო ახლებური სახე. განვითარება დაიწყო სოციალიზმმა და განვითარებასთან ერთად სოციალისტური დოქტრინების გავრცელება. იყო შემთხვევები ეროვნული მოძრაობების სოციალისტურ იდეებთან შერწყმისა და საფუძველი დაედო განმათავისუფლებელ მოძრაობას. რაც მას შემდეგ გამოაშკარავდა, როცა პირველი მსოფლიო ომით დასუსტებულმა რუსეთმა თანდათან დაკარგა გავლენა მის მიერ დაპყრობილ ხალხებზე. ვითარების კულმინაცია კი იყო 1917 წელი, როდესაც რუსეთმა ორი რევოლუცია გამოიარა. თებერვალში ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად დაამხეს მეფის ხელისუფლება, ხოლო 7 თვის შემდეგ ბოლშევიკებმა სამხედრო

გადატრიალება მოაწყვეს და ძალაუფლება მიიტაცეს. რუსეთი 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად მძიმე კრიზისში აღმოჩნდა, მთლიანად დაინგრა ეკონომიკა და ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამ მოიცვა.

1918 წელს კავკასიაში ოთხმა რესპუბლიკამ ისარგებლა რა რუსეთში მიმდინარე პროცესებით და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მაგრამ არცთუ ისე დიდხანს გაგრძელდა მათი სუვერენიტეტი.

კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე რუსეთმა დაიწყო ქართული რეგიონის, აფხაზეთის ოკუპაცია. 1918 წლის ზაფხულში საბჭოელებმა აფხაზეთში "წითელკაზაკთა" შენაერთები გაგზავნეს და ადგილობრივი სეპარატისტები წააქეზეს ე.წ. „აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად. საბედნიეროდ საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო აფხაზეთის გათავისუფლება გადამჭრელი ზომების მიღების შემდეგ გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით.

1919 წლის პირველ ნახევარში „თეთრებმა"-ც სცადეს აფხაზეთში შეღწევა და მისი ოკუპაცია, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ბრიტანული ჯარები იყვნენ და მათ შეძლეს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება. ასეთი თავდასხმები 1918-1920 წლებში არაერთხელ მოხდა ე.წ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, თუმცა ქართული შეიარაღებული ძალები ყოველთვის იდგა მყარად და იცავდა ტერიტორიებს, რუსეთი კი პოლონეთის თეთრი გენერლების წინააღმდეგ იბრძოდა და არ ეცალა მთლიანი ყურადღება საქართველოსთვის დაეთმო. [1]

საბჭოთა კავშირის დაშლა მიმდინარეობდა, დემოგრაფიულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ფონზე. 1989 წელს ეკონომიკური კრიზისი ოფიციალურად გამოცხადდა. საბჭოთა კავშირმა ნელ-ნელა დაკარგა კონტროლი აღმოსავლეთ ევროპაში, 1989 წლიდან დაიწყო კომუნისტური იდეოლოგიის ფაქტობრივი დაცემა. 1991 წლის 26 დეკემბერს კი საბოლოოდ დაიშალა. ამ პროცესს მოჰყვა

[1] ჯოჯუა დ.; - აფხაზეთი 1918-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის აპექტები; თბ.; 2007წ. გვ - 71.

სამხრეთ კავკასიის სამი რეგიონის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) დამოუკიდებლობის გამოცხადება. [2]

XXI საუკუნეში სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები განსაკუთრებული დინამიურობით ხასიათდება. სამხრეთ კავკასია მიმდინარე პოლიტიკური მდგომარეობით ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილს წარმოადგენს, რეგიონში მწვავედ დგას რუსული, ქართული, სომხური, თურქული, აზერბაიჯანული და ზოგადად დასავლური ინტერესების თანხვედრის პრობლემა, ეს კი ხშირ შემთხვევაში საკმაოდ არასასურველ შედეგებამდე მიდის. პოლიტიკური სიტუაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მუდმივად დაძაბულია, ამ დაძაბულობას ხელს უწყობს სამი ფაქტორი: გლობალური-გარე ძალების რეგიონისადმი დიდი ინტერესი, შიდარეგიონალური-ტერიტორიული პრეტენზიები, სამი გაყინული კონფლიქტი და საშინაო-შიდაპოლიტიკური განვითარების უარყოფითი დინამიკა. რეგიონის სამომავლო განვითარების ნებისმიერი გზა უშუალოდ უკავშირდება არსებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების საკითხს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. მიუხედავად საერთაშორისო ორგანოების მცდელობისა ქვეყნებისთვის კონფლიქტის მოგვარების შეთავაზების ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა და მხარეთა პოზიციები შესათანხმებელი დარჩა. კონფლიქტის ასეთ აქტუალობას განაპირობებს ის, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობები კომპრომისზე ვერ თანხმდებიან ერთმანეთთან. აუცილებელია, რომელიმემ დათმოს თავის პოზიცია, მითუმეტეს რომ დღეს დასავლეთი აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში ნომინალურ როლს თამაშობს და ცდილობს ფორმალური და მეტად მოკრძალებული მოლაპარაკებების გამართვით შემოიფარგლოს.

[2] ნ. ჩიქოვანი „რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში“. თბილისი. 2006. გვ.6

გარდა ყარაბაღის პრობლემისა რეგიონის წინაშე დაგას ისეთი გამოწვევებიც როგორიცაა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებულ სიტუაცია. საქართველოს სტრატეგია ამ ეტაპზე იქითკენაა მიმართული, რომ როგორმე შეავიწროოს რუსეთის გავლენა კონფლიქტის ზონებში და გაავრცელოს აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგობარი სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა.

ჩვენი აზრით, მიუხედავად რეგიონის საერთო სოციალისტური წარსულისა და სხვა მრავალი საერთო ინტერესისა, თანამედროვე სამხრეთ კავკასიის თითოეულ ქვეყანაში განსხვავებული გამოწვევები დგას დღის წესრიგში. თუკი საქართველოსთვის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ძირითად ამოცანას ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს, თანამედროვე სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის უპირველეს გამოწვევად ყარაბაღის კონფლიქტი და მისი მოგვარების საშუალებების ძებნა რჩება. თუმცა აქტუალობის მიუხედავად აღნიშნული საკითხის დარეგულირება ჩაკეტილ წრეზე ბრუნავს. მის გადაწყვეტას არსებულ, რეალურ, რთულ სიტუაციაში დიდი პოლიტიკური ნება ან შეცვლილი გეოპოლიტიკური მდგომარეობა სჭირდება. ასევე შეიძლება ითქვას ზოგადად სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე სხვა რეგიონულ კონფლიქტებზეც.

აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო სრულიად განსხვავებული გამოწვევების წინაშე დგანან, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ისე სოციალური კუთხით, ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად კი განსხვავებულ გზებს ირჩევენ. საქართველო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით ევროპისკენ ისწრაფვის, აზერბაიჯანი ირგებს ენერგეტიკის მწარმოებელი ქვეყნის სტატუსს და უპირატესობას და დასავლეთის მიერ დაწესებული ნორმების შემოგღბას აჭიანურებს. რაც შეეხება სომხეთს, ის ევრაზიულ კავშირში შევიდა.

განსხვავდება ასევე ამ ქვეყნების ენერგეტიკული განვითარების მახასიათებლები. საქართველოს სურს მის ტერიტორიაზე არსებული ჰიდროელექტრორესურსების მაქსიმალურად ათვისება, სომხეთს უჭირს უარის თქმა ატომურ ელექტროსადგურზე მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო და ახალი ბირთვული რეაქტორის აშენებმა ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნია. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ის ცდილობს თავისი რესურსების საექსპორტო ბაზრების გაფართოებას.[3]

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს რომ განსხვავებული გამოწვევები აქვთ, ამაზე უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ ამასთან ერთად მათ აქვსთ განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაცია აქვთ აღებული, რაც რა თქმა უნდა ხელს უშლის რეგიონული უსაფრხოების ერთიანი და მყარი სისტემის ჩამოყალიბებას. სომხეთი, მხარს უჭერს რუსეთის დიდი გავლენის შენარჩუნებას რეგიონში. ქვეყანაში განთავსებულ რუსულ სამხედრო ბაზას ერევანი საკუთარი უსაფრთხოების მთავარ გარანტად მიიჩნევს აზერბაიჯანის მხრიდან სამხედრო აგრესიის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი მოკავშირედ თურქეთი რჩება, რომელსაც საკმაოდ დიდი ინტერესები აქვს რეგიონში და საქართველოსთანაც აქვს დიპლომატიური და სტარატეგიული ურთიერთობები, ის მაინც ინარჩუნებს რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობას. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრის გზა სამხედრო ოპერაციები მიაჩნია და აყოველწლიურად ზრდის თავის ბიუჯეტს. საქართველოს ევროპისკენ აქვს კურსი და ნატოს წევრობა სურს, ამით, ის ცდილობს მის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებას და წაემატებული დემოკრატიული ქვეყნის შექმნას, რომელიც მოითხოვს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას. მას 2008 წლის შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობები აღარ აქვს რუსეთთან. დასავლეთმა საქართველოსა და აზერბაიჯანზე გამავალი ენერგოდერეფნის სახით შექმნა

[3] პ. ოპიცი, ა.ხარაზიანი, ა. პასოიანი, მ. მარგველაშვილი, მ. გურბანოვი. „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდგრადი ენერგეტიკის პოლიტიკა: განვითარების შესაძლებლობები და არჩევანი“ გამომცემლობა „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო“. თბილისი 2015წ. გვ.26-27.

თავისი „საკუთრება“, ხოლო თუ რუსეთი ამ დერეფანს ხელყოფს, ეს ნამდვილი კონფრონტაცია იქნება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამხრეთ კავკასიაში ენერგორესურსების ალტერნატიული გზების არსებობა დასავლეთის სტრატეგიული ინტერესების ქვაკუთხედია.

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შეიქმნა ახალი რეალობა, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებების აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. ეს ეხებოდა როგორც, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ისე საერთაშორისო თანამეგობრობას და მათ საგარეო პოლიტიკას. ომის შემდეგ ისე განვითარდა მოვლენები, რომ კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით, რეგიონის უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შექმნა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება თუ არ გაჩნდება კონფლიქტების მოგვარების ახალი გზები. ასეთი გზების პოვნა კი მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის პოლიტიკის ფუნდამენტალური ცვლილებების გარეშე ვერ მოხდება.

სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი ეთნიკური ნიშნით ტერიტორიების კონტროლის სურვილია. მაგრამ აქაც განსხვავდება საკითხისადმი დამოკიდებულება და მიდგომები. ერთი მხრივ მთიან ყარაბაღა სომხეთთან შეერთება სურს, ხოლო სამხრეთ ოსეთის საზოგადოების ერთი ნაწილის მიზანია ჩრდილოეთთან ანუ რუსეთთან სურს გაერთიანება. განსხვავებული განწყობაა აფხაზეთში, რადგან დე-ფაქტო ხელისუფლებას დამოუკიდებლობაზე უარის თქმა არ მიაჩნია კარგ იდეად, თუნდაც რუსეთთან ასოცირებული წევრობის ხარჯზე. [4]

თუ ვისაუბრებთ რეგიონში არსებულ ეონომიკურ ვითარებაზე, ამ თვალსაზრისით, საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საკმაოდ მძიმე სურათი იყო. ეკონომიკური ვარდნის შეჩერება და რეფორმების განხორციელება 1994 წლიდან დაიწყო.

[4] ენვერ ჯულიმანი, ნინო ტლაშაძე, ალეკო ცქიტიშვილი „ნდობა და მშვიდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში“ გამომცემლობა „გლობუსის“ სტამბა. თბილისი 2015 წ. გვ. 109, 111.

1990-1994 წლებში ეკონომიკა 70 პროცენტამდე დაეცა, ინფლაცია კი 1993 წელს 7800 პროცენტს აღემატებოდა. 1995-2008 წლებში ეკონომიკის ზრდა დაიწყო, მართალია 1990 წლის დონეს ვერ მიუახლოვდა, მაგრამ ტენდენცია ცალსახად დადებითი იყო. ეკონომიკის დონის ზრდა გამოწვეული იყო სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკით, რაც ეკონომიკის ლიბერალიზაციის პარალელურად ბაზრის რეგულირების ევროპული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. [5]

„ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველომ განვითარების ისეთი გზა აირჩია, რომელიც ევროულ გზასთან მიახლოებულიც არ იყო, მაგრამ ევროკავშირთან აღებული ვალდებულებები აუცილებლად უნდა შეესრულებინა, ამ მიზნიც მან დაიწყო მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილები. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი არ არის ერჯერადი აქტი.

სომხეთში საბჭოთა კავშირის დაშლას პრივატიზაციის მასიური პროცესი მოჰყვა, რასაც თან დაერთო ფასების ლიბერალიზაცია და მთავრობის როლიც შეცვლაც. საფუძველი დაედო ხელისუფლებასა და ბიზნეს შორის კავშირების გაღრმავებას. სომხეთის მთავრობის არჩევანი ახალი ტიპის საბიუჯეტო-საგადასახადო და საკრედიტო-სავალუტო პოლიტიკა იყო.

სომხეთის რესპუბლიკაში ბიზნესის სხვადასხვა ფენამ იჩინა თავი, რომლებსაც განსხვავებული თამაშის წესი გააჩნდათ. 1991-2000 წლებში განვითარების პირველად ეტაპზე დაგროვებასა და კაპიტალის დაცვაზე მიმართული პროცესები ჰქონდათ. მეორე ეტაზე, რომელიც 2000-2007 წლებს მოიცავდა, აშკარად ბიზნესის სფეროს გაძლიერება შეიმჩნეოდა. მსხვილმა ბიზნესმა მოწინავე პოზიცია დაიკავა, საშუალო ბიზნესი უტოლდებოდა მსხვილი ბიზნესის მდგომარეობას, რაც რთულ მდგომარეობაში აყენებდა საშუალო

[5] Papava V., A New View of the Economic Ability of the Government, Egalitarian Goods and GNP. International Journal of Social Economics, Vol. 20, No.8, 1993. P.2.

ბიზნესს. მცირე ბიზნეს ამ პერიოდში გარკვეული საგადასახადო შეღავათები შეეხო. რაც შეეხება მესამე ეტაპს, რომელიც 2007-2010 წლებში იყო, აქ შეიმჩნეოდა ეკონომიკის ზეცენტრალიზაცია. [6]

თუ გადავხედავთ აზერბაიჯანის ეკონომიკურ რეფორმებს ის ძალიან წააგავს პოსტსაბჭოთა სივრცის და ასევე აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ქვეყნების რეფორმებს. ეკონომიკის გარდაქმნების ძირითად იდეა მონეტარიზმი გახლდათ, მაგრამ ეს იდეა დიდ წინააღმდეგობას იღებდა ჩინოვნიკური აპარატდან, რომელსაც საბჭოური ტრადიციები ჰქონდა. ამ ყველაფერს ემატებოდა ყარაბაღის კონფლიქტი, რომელმაც თავისი გავლენა მოახდინა რეფორმების შეჩერებასა და უარყოფითი შედეგის დადგომაში. აზერბაიჯანის მთავარი „კოზირი“ მისი რესურსებია, ნავთობის ეკონომიკა, რომელზეც ეროვნული შემოსავლებისა და ეროვნული პროდუქტების მნიშვნელოვანი წილი მოდის. ეს ყველაფერი კი ძალიან ეხმარება ქვეყანას „ფეხზე მყარად დგომაში.“

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებზე, აზერბაიჯანის ეკონომიკაზეც ცუდად იმოქმედა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანი შედარებით ნაკლებადაა მსოფლიო ფინანსურ ბაზრებში ინტეგრირებული, მასზე მთლიანად დამოკიდებული არაა და ასევე უცხოურ ფინანსურ რესურსებს ნაკლებად იზიდავს, ფინანსური კრიზისი მისთვის ნაკლებად შემაშფოთებელი აღმოჩნდა რუსეთისა და ყაზახეთისგან განსხვავებით.

მსოფლიო კრიზისით გამოწვეული უარყოფითი შედეგები აზერბაიჯანში ასე გამოიყურება: 1. ნავთობის სახელმწიფო ფონდზე ბიუჯეტი დამოკიდებულება გაძლიერდა, რაც გამოწვეული იყო საგადასახადო პრობლემებით; 2. ნავთობის სახელმწიფო კომპანიას და სახელმწიფო ფონდს შემოსავლები შეუმცირდათ; 3.

---

6 ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.4&d=HASH01102d428fe5f220a31b5580.4.2 გვ.1 .
(უკანასკნელად გადამოწმებულია 05.06.2019)

ისედაც მცირე არასანავთობო ექსპორტის წილის კიდევ უფრო შემცირება დაიწყო, რომელიც შეუქცევადი პროცესი გახდა. 4. კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს კრედიტების გაცემის შემცირება, რომელიც ეხებოდა ორივე სამომხმარებლო და რეალურ სექტორებისთვის გასაცემ კრედიტებს. ამ ყველაფერს მოჰყვა უძრავი ქონების ბაზრის დაქვეითება, შესუსტდა მშენებლობის ტემპები და ასევე იკლო სამომხმარებლო მოთხოვნებმა ადგილობრივ ბაზარზე.[7]

1.2. სამხრეთ კავკასიის რეგიონის როლი, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში

სამხრეთ კავკასია, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ამავედროს, ეთნოპოლიტიკური ან სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გამო დანაწევრებული, ყოველთვის მიმზიდველი იყო და ახლაც არ დაუკარგავს აქტუალობა რეგიონული და არამარტო რეგიონული სახელმწიფოებისთვის (ამერიკის შეერთებული შტატები, ირანი, რუსეთი, თურქეთი), რომელთაც თავისი ინტერესები გააჩნიათ. მათი სურვილია ისემოაწყონ ეს რეგიონი, როგორც მათ წარმოუდგენიათ. ისინი ცდილობენ ყველანაირი ბერკეტით მოახდინონ ზეგავლენა იქნება ეს ეკონომიკური თვალსაზრისით, პოლიტიკური, სამარლებრივი თუ ძალისმიერი მეთოდებით, რაც რა თქმა უნდა დიდ გავლენას ახდენს მთლიანად რეგიონის განვითარებაზე.

პოლიტიკურ ლიტერატურაში ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ ახალი დამკვიდრებულია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის სამმა

[7]აზერბაიჯანის ეკონომიკის მიმოხილვა, TACIS კვარტალური ბიულეტენი, აპრილი-ივნისი, 2001http://www.azstat.org/statinfo/consumermarket/az/index.shtml-(უკანასკნელად გადამოწმებულია 01.05.2019)

სახელმწიფომ საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განსაზღვრეს თავისი გეოსტრატეგიული ორიენტირები. განსხვავდება სამივე ქვეყნის უსაფრთხოების და საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები და ასევე განსხვავებულ ენერგოპოლიტიკასაც ატარებენ. სომხეთის კონფლიქტმა ორ მეზობელ სახელმწიფოსთან (აზერბაიჯანი - მთიანი ყარაბაღის გამო, თურქეთისგან ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარებას ითხოვს) გამოიწვია როგორც ეკონომიკურად ისე ენერგოპოლიტიკის თვალსაზრისით მისი რუსეთზე მიბმა. 2015 წელს ის „ევრაზიულ კავშირში“ გაწევრიანდა და რუსეთის დახმარებით ინარჩუნებს ბირთვულ ენერგეტიკას. სომხეთისგან განსხვავებით, საქართველო დასავლეთისკენაა მიმართული, მან ასოცირების ხელშეკრულება გააფორმა და საკუთარ თავს განიხილავს როგორც „ენერგოდერეფანს“, რომელიც უზრუნველყოფს კასპიის რეგიონის ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანზიტს ევროპის მიმართულებით. აზერბაიჯანი კი პოლიტიკურ დისტანციას ინარჩუნებს, როგორც რუსეთთან ისე ევროკავშირთან.სწორედ ეს ორიენტაციის მრავალფეროვნება აყალიბებს რეგიონში სხვადასხვა ალიანსებს. კავშირები რომლებიც დამყარებული აქვთ სხვადასხვა რეგიონულ თუ გლობალურ ძალებთან საკმაო უთანხმოებას იწვევს რეგიონთან მიმართებაში, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ ყველას თავისი მიზანი აქვს და ცდილობს სათავისოდ გამოიყენოს არსებული რესურსი, რომელიც სამხრეთ კავკასიას გააჩნია. ეს თავისმხრივ ხელს უწყობს ეთნოკონფლიქტებს (აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპირისპირება მთიანი ყარაბაღის გამო, საქართველოს შიდა სეპატარატისტური დაპირისპირებები ე.წ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სახით).

ენერგეტიკული რესურსებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ ისტორიული „აბრეშუმის გზა“, რომელიც კავკასიის მთავარ არტერიას წარმოადგენს და რეგიონში დღეს მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე გვხვდება ახალი სახით, სადაც დასავლეთი ცდილობს ამერიკული „ახალი აბრეშუმის გზის„ კონცეფციის თანახმად გააკონტროლოს

ცენტრალურიაზიისენერგორესურსები ჩინეთისა და რუსეთის გვერდის ავლით. მეორე მხრივ, რუსეთი ცდილობს რაც შეიძლება მეტი ქვეყანა გააერთიანოს „ევრაზიულ კავშირში“.

„აბრეშუმის გზის“ კონტექსტში ცეტრალურაზიაში, სამხრეთ კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები და მისი შესაძლო განვითარება, ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, რადგან ცენტრალური აზია ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია მსოფლიოში ენერგორესურსების თვალსაზრისით, ჩინეთს კი იმისთვის რომ ეკონომიკურად სწრაფად განვითარდეს საიმედო ენერგეტიკული მომარაგება სჭირდება, სწორედ ამ შემთხვევაში იქცევა ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკურ ლიდერად, რუსეთს სურს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ცენტრალურ აზიასთან განსაკუთრებული ურთიერთობა შენარჩუნოს, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, მისი მიზანია მოიპოვოს და შეინარჩუნოს ენერგორესურსების განაწილების ექსკლუზიური უფლება. თავის მხრივ ცენტრალური აზია დაინტერესებულია საკუთარი რესურსების ტრანსპორტირების დივერსიფიკაციით, ალტერნატიული ენერგოდერეფნის შექმნის შემთხვევაში, რეგიონი როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ მოგებას მიიღებს და შემცირდება მისი რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხიც. არ უნდა დაგვავიწყდეს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებიც, რადგან ეს რეგიონი „აბრეშუმის გზის“ შემადგენელი ნაწილია, რომელიც არც თუ ისე სტაბილურია და შესაძლებელია ძირეული ცვლილებები გამოიწვიოს სამხრეთ კავკასიაში.

1998 წელს რუსეთმა შეიმუშავა სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია, ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში, ამით მან გადადგა ნაბიჯი საერთო ”კავკასიური სახლის” იდეის საპირისპიროდ. ამასთან ერთად სამხრეთ კავკასიამ დაიწყო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სუბრეგიონად ჩამოყალიბება. პოლიტიკური სიტუაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყანებში მუდმივად დაძაბულია, ამ დაძაბულობას ხელს უწყობს სამი ფაქტორი: გლობალური-გარე ძალების რეგიონისადმი დიდი ინტერესი, შიდარეგიონალური-ტერიტორიული

პრეტენზიები, სამი გაყინული კონფლიქტი და საშინაო-შიდაპოლიტიკური განვითარების ნეგატიური დინამიკა. რეგიონზე გავლენის მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად სწორედ, შიდაპოლიტიკური ფაქტორი და ტერიტორიული კონფლიქტები იქნა გამოყენებული რუსეთის მიერ და არ არის გამორიცხული მომავალშიც გამოიყენოს. იმ შემთხვევაში თუ საქართველო და აზარბაიჯანი შეეცდებიან შეცვალონ, განცხადებული საგარეო პოლიტიკურ კურსი, სამხრეთ კავკასიაში შესაძლებელია დასავლეთმა მოახდინოს არეულობის ინსპირაცია. სიტუაციას ართულებს ისიც რომ, რეგიონის ქვეყნებს ნათლად არა აქვთ განსაზღვრული საკუთარი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, ისინი ძირითადად რეაგირების რეჟიმში მოქმედებენ. რუსეთს კარგად ესმის ამერიკული "ახალი აბრეშუმის გზის" მნიშვნელობა, ახალი ენერგეტიკული გზების მშენებლობა ცენტრალური აზიისა და კასპიის აუზისთვის ასრულებს მისი როგორც, ერთპიროვნული განმკარგავის ფუნქციას, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად შეამცირებს რუსეთის პოლიტიკურ წონას-გლობალურ პოლიტიკაში. "ევრაზიულ კავშირის" შექმნით რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს გეოპოლიტიკური კონტროლი რეგიონზე და ამის შესაბამისად მოქმედებს, ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიაში და სამხრეთ კავკასიაში. სომხეთთან და აზარბაიჯანთან, რუსეთი განაგრძობს სპეკულირებას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტით, ამასთან სომხეთში 49 წლიანი ხელშეკრულებით სამხედრო ბაზა აქვს განთავსებული, ხოლო აზარბაიჯანს გამალებულიაიარაღებს. საქართველოსთან მიმართებაში კი რუსეთს, სეპარატისტული რეგიონების აღიარების შემდეგ, ამოეწურა კონფლიქტებით ზემოქმედების ბერკეტები და ერთადერთი პირდაპირი აგრესიის შესაძლებლობა აქვს დარჩენილი.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საზოგადოებისა და რეგიონით დაინტერესებული სხვადასხვა ქვეყნების ინტერესი გაიზარდა, ამერიკის შეერთებული შტატები თბილი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა რუსეთთან გარკვეული დროის განმავლობაში და მისთვის პრიორიტეტული იყო დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და

რუსეთისთვის საერთაშორისო დემოკრატიულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. მიუხედავად ამისა აშშ დახმარების ხელს მაინც უწვდიდა ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებს.

რუსეთი აღიარებდა ამერიკის როლს, დომინანტურ პოზიციას მსოფლიოში და სწორედ აშშ-ს განიხილავდა მთავარ სუპერ სახელმწიფოდ, თუმცა მეორეს მხრივ რუსეთს გააჩნდა ასე ვთქვათ თავისი პრეტენზიები პოსტ-საბჭოთა სივრცის მიმართ და სწორედ რუსეთის აღნიშნულმა „შუამავლურმა“ პოზიციამ გამოიწვია ის რომ მოლდოვამ და საქართველომ დაკარგეს კონტროლი თავიანთ ტერიტორიებზე, რომელი ტერიტორიებიც გაეროს საერთაშორისო აღიერებულ საზღვრებში სწორედ ამ ორი სახელმწიფოს ტერიტორიად განიხილებოდა, თუმცა იმ პერიოდში აშშ-ს ჩართვა აღნიშნულ კონფლიქტებში იყო მეტად რბილი, აშშ-ს ფაქტობრივად არ გაუკრიტიკებია რუსეთი, თვითონ ეს უკანასკნელი უარყოფდა საკუთარ როლს აღნიშნულ კონფლიქტებში, პირიქით იგი ცდილობდა ეთამაშა შუამავლის როლი, და თავისი ე.წ „სამშვიდობო ძალებიც“ კი განათავსა ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ კონფლიქტის ზონაში. [8]

თანდათან აშშ-ს და რუსეთის პოზიციები აღნიშნულ რეგიონში შეიცვალა. რუსეთში 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მიღებულ იქნა ახალი დოქტრინა ე.წ „პრიმაკოვის დოქტრინა“ (პრიმაკოვი- რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 1995 წლიდან.

პრიმაკოვის დოქტრინის ფარგლებში რუსეთის მთავარი მოთხოვნა, იგივე აშშ-ს და საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების მიმართ იყო სწორედ ის რომ შექმნილიყო მრავალპოლუსიანი სამყარო სადაც რუსეთს ექნებოდა თავისი გეოპოლიტიკური როლი, ანუ ის იქნებოდა ერთ-ერთი მთავარი რეგიონული მოთამაშე, რომელიც შეძლებდა პოსტ საბჭოთა სივრცეზე საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას.

---

[8] მალხაზ ხაზარბეგიშვილი. ახალგაზრდული ჟურნალი ,,360 გრადუსი“. 2013 წელი. (www.360gradus.ge- უკანასკნელად გადამოწმებულია 02.05.2019)

გარდა ამისა 1998 წელს ჯერ კიდევ პუტინის პრეზიდენტობამდე რუსეთში გამოიცა ალექსანდრე დუგინის წიგნი სახელწოდებით „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ სადაც რუსეთის მთავარ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ განხილულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატები და წარმოდგენილ იქნა სხვდასხვა გეოპოლიტიკური კონცეფციები თუ როგორ შეძლებდა რუსეთი აშშ-ს შეკავებას ევროპულ ან თუნდაც აზიურ სახელმწიფოებთან ალიანსში, დაახლოებით იმავე პერიოდში კერძოდ ერთი წლით ადრე ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულ იქნა ზბიგნევ ბჟეზინსკის წიგნი „დიდი საჭადრაკო დაფა“ სადაც პოსტსაბჭოთა სივრცეს, დიდი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე და პოლიტოლოგი უწოდებს „შავ ხვრელს“, განსაკუთრებით იგი ამახვილებს ყურადღებას კავკასიის რეგიონზე, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ფეთქებად და საშიშ რეგიონზე, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში ასევე მთლიანად მსოფლიოში. ბჟეზინსკის აზრით, ძალზედ მნიშვნელოვანი იყო მჭიდრო ურთიერთობების დამყარება ნავთობით მდიდარ აზერბაიჯანთან,რაც საშუალებას მისცემდა აშშ-სრომ მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონშიგანემტკიცებინა საკუთარი გეოპოლიტიკურიგავლენა.

ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებულია აზერბაიჯანის ნავთობის ათვისებით. 1994 წლის 20 სექტემბერს აზერბაიჯანის მთავრობამ და მსოფლიოს წამყვანმა 20 -მა ნავთოკომპანიამ ხელი მოაწერეს საუკუნის კონტრაქტს. სულ 12 კონტრაქტი იყო, რომელიც ითვალისწინებდა აზერბაიჯანში არსებული ნავთობის და ბუნებრივი აირის რესურსების ათვისებას და მათ შემდგომ ტრანსპორტირებას დასავლეთის მიმართულებით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1995 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს პირადად ესაუბრა აშშ-ს პრეზიდენტი ბილ კლინტონი და სანავთობო პროექტების რუსეთის გვერდის ავლით განხორციელება შესთავაზა. ამით ერთი მხრივ განისაზღვრა კავკასიის რეგიონის მიმართ ამერიკის ახალი სტრატეგია. [9]

[9] აშშ-ს კავკასიური პოლიტიკა და ზემოქმედების ახალი ბერკეტები (https://www.militarium.org/amerikis-kavkasiuri-politika/ -უკანასკნელად გადამოწმებულია 02.05.2019)

1.3. სამხრეთ კავკასია, როგორც გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის ადგილი

სუვერენული ქვეყნების პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების დონეზე, ტრადიციებზე და ა. შ. დამოკიდებული ამ ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის პროგნოზირება.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები იმის გათვალისწინებით, რომ გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთის გზაჯვარედინზე არიან, განუწყვეტლივ განიცდიან სხვადასხვა გაერთიანებების თუ პოლიტიკური ერთეულების გავლენას. მისი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც საკმაოდ მომგებიანია ამ სტატუსის განმსაზღვრელი აღმოჩნდა. რეგიონზე თავისი ინტერესები როგორც რეგიონალურ სახელმწიფოებს (ირანი, თურქეთი, რუსეთი) ისე რეგიონის გარე ძალებს (ამერიკის შეერთებული შტატები, ნატო, ჩინეთი, ისრაელი და ევროკავშირი) გააჩნიათ.

საკმაოდ დიდი ხანი გავიდა რაც გადაუწყვეტელი კონფლიქტები არსებობს სამხრეთ კავკასიაში, რაც არაერთხელ ყოფილა მეცნიერების მიერ დაკვირვების საგანი. მეცნიერული ინტერესი, ძირითადად მრავალეთნიკურ კავკასიაში კონფლიქტების შესწავლის დროს გამოიხატბა თვითონ კონფლიქტის ხასიათში, რადგან არსებობს მკვლევართა და პოლიტიკოსთა სხვადასხვადაირი აზრის ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ რეგლიგიური ფაქტორი აშკარად დიდ გავლენას ახდენს, ხოლო მეორე ნაწილს წმინდა გეოპოლიტიკური და პოლიტიკური ფაქტორი მიაჩნია მთავარ მიზეზად. [10]

დღესდღეისობით სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარების მთავარი გზა ეკონომიკური კავშირების აღდგენასთან ერთად დემოკრატიულობის დაცვაში უნდა ვეძიოთ. საკმაოდ დიდი ხანია რაც აქტიური საომარი მოქმედებების

[10] ჰანგთინგტონი ს. „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“. (http://www.culturedialogue.com/resources/library/translations/huntington_1.shtml-უკანასკნელად გადამოწმებულია 02.05.2019)

არეალში არიან მთიანი ყარაბაღი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთის ტერიტორიული ერთეულები. მათი საკითხი დღესაც არ არის გადაჭრილი, რაც საერთაშორისო საზოგადოების დიდ ყურადღებას იწვევს. ისინი გამუდმებით მსჯელობენ ამ საკითხთან დაკავშირებით. რეგიონის ეს კონფლიქტები შეიარაღებული კონფლიქტებს წარმოადგენენ. სეპარატისტულმა რეგიონებმა იარაღი გამოიყენეს იმისთვის, რომ დე-ფაქტო მდგომარეობა მოეპოვებინათ. მათ ასევე კონფლიქტის ესკალაციისკენაც გადადგეს ნაბიჯები, თუმცა ამის მიუხედავად დღესაც „გაყინული კონფლიქტების“ მდგომარეობაში არიან.

აღნიშნული პრობლემა უმთავრესად დაკავშირებულია კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებთან, რომელმაც ამ კონფლიქტების პროვოცირება მოახდინა. შესაბამისად უნდა მოძებნოს ეს მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები, რაც შესაძლებელს გახდის დაძრად გაყინული მდგომარეობა და გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები მის აღმოსაფხვრელად.

საომარი ვითარების ფონზე კონფლიქტში ჩართულ მხარეებს ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვთ, მათ შორის ვაჭრობა მხოლოდ კონტრაბანდული გზით შემოიფარგლება, რომელიც სურსათის პროდუქციით განისაზღვრება. სიტუაციის განმუხტვა და ეკონომიკური ინტეგრახიის პრიორიტეტების პროგნოზირება უნდა დამყარდეს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გეოპოლიტიკურ განვითარების პროგნოზს, ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონში „მთავარი მოთამაშეების“ აშშ, ევროკავშირისა და რუსეთის ინტერესები და ამ ინტერესების ცვალებადობა. ასევე საყურადღებოა თურქეთ ირანის პოზიციებიც.

გააჩნიათ „შიდარეგიონული ინტეგრაციის მოდელი, რომელზეც გვსურს ყურადღების გამახვილება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა, მასში შესულია ისეთი ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ პირველ რიგში სამხედრო, ეკონომიკურ თუ სოციალურ-კულტურულ და რელიგიურ მდგომარეობას, მკაფიოდაა გამოკვეთილი ინტეგრაციული და დეზინტეგრაციული პროცესების რისკების ბალანსი, ხოლო

მნიშვნელოვანი ადგილი შიდა და გარერეგიონულ, ლოკალურ და გლობალური საფრთხეების დაბალანსებას ეთმობა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტრატეგიული მდგომარეობა ასევე განისაზღვრებოდა ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური მდგომარეობით. რეგიონული ინტეგრაციის პროგნოზირების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ქვეყნებს შორის დიპლომატიური და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ფორმებია. შიდარეგიონულ პროცესებს განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრირება სხვადასხვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სართაშორისო ორგანიზაციებში და ასევე ამ ორგანიზაციების ჩართულობა ამ ქვეყნების პოლიტიკაში.

სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ მაჩვენებლებზე საუბრისას, რომლითაც განისაზღვრება რეგიონული ინტეგრაციის პერსპექტივები, საკმაოდ ბევრ მახასიათებელს მოიცავს, თუმცა მათ შორის შეიძლება გამოიყოს ყველაზე მნიშვნელოვანი. სახელმწიფოთა სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც სასიციცხლოდ ნიშვნელოვანია, როგორც რეგიონის ქვეყნებისთვის, ისე სხვა სახელმწიფოებისთვისაც. რაც შეეხება ეკონომკურ განვითარებას, ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა ყველა ქვეყანა სხვადასხვანაირად აღიქვამს განვითარების მნიშვნელობას. სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონე ძალიან დიდ და აუცილებელ ინფორმაციათა მარაგსს საჭიროებს რომელიც ყველას არ გააჩნია.

როდესაც საუბარია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროგნოზზე აუცილებლად უნდა გამოვყოთ ტრანსნაციონალური კორპორაციების და ენეგეტიკული გიგანტების ინტერესები, რომელიც რა საკვირველია ძალზედ მნიშვნელოვანია.

თავი II

აშშ-ს ინტერესები და ურთიერთბები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან

2.1. სომხეთი, როგორც რუსეთის სატელიტი და აშშ-სომხეთის ურთიერთობები

სომხეთის, როგორც რუსეთის სატელიტის დასახასიათებლად საჭიროა მოკლე ექსკურსი, რაც ნათლად დაგვანახებს მისი პოლიტიკის ხასიათს. დამოუკიდებლობის დასაწყისში ყოფილმა საბჭოთა კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა (მიუხედავად იმისა რომ მათ საკუთარი გეოსტრატეგიული ორიენტაციები განსაზღვრეს) ბიძგი მისცეს ძლიერ სახელმწიფოებს საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად ებრძოლათ, ამ პროცესმა კი პატარა სახელმწიფოების პოლიტიკის მიმართულებაზე მოახდინა გავლენა. სომხეთის შემთხვევაში ეს სატელიტის სტატუსის მინიჭება იყო, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ სახელმწიფოსთვის წარმოიქმნა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა რაც გამოიხატებოდა სომხეთ-აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში. სწორედ ამ კონფლიქტმა განსაზღვრა სომხეთის საგარეო პოლიტიკური მიმართულება. რუსეთმა მხარი სომხეთს დაუჭირა და წინასწარ განსაზღვრული თანადგომით ქვეყანაში თავისი ინტერესები გააფართოვა. სომხეთს ძალიან უჭირდა ბალანსის დაცვა მეზობელ ქვეყნებს შორის გამძაფრებული მწვავე კონფლიქტის პერიოდში, ასევე უნდა დაეძლია, თურქეთისადმი უნდობლობა და მტრული განწყობა, როგორც აზერბაიჯანის მოკავშირესთან და რა თქმა უნდა მტრულად განწყობილ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ირანთან, რომლებიც აზერბაიჯანის სტრატეგიულ პარტნიორებად განიხილებოდნენ.

სომხეთის სახელმწიფოს სურდა დაძაბულობისთვის თავი დაეღწია და მიზნად რუსეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას ისახავდა. პრეზიდენტების

ტერ პეტროსიანის, რობერტ ქოსარიანისა და სერჟ სარქისიანის საგარეო პოლიტიკური კურსი მოითხოვდა თურქეთის მიერ გენოციდის აღიარებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის. პეტროსიანისგან განსხვავებით ბოლო ორმა პრეზიდენტმა პოლიტიკის პრიორიტეტები ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში შესვლით და რუსეთთან სტაბილური ურთიერთობის ხანგრძლივი შენარჩუნებით განსაზღვრეს, რა თქმა უნდა ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის ხელშეწყობის საფუძველზე.

რუსეთი ყოველთვის განიხილავდა სომხეთს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს და მისი უსაფრთხოების მთავარ გარანტს. 2014 წლის 29 მაისს მინსკში ვლადიმერ პუტინმა, ნურსუთან ნაზარბავმა, ალექსანდრე ლუკაშენკომ და სერჟ სარქისიანმა მოაწერეს ხელი დოკუმენტს, რაც ითვალისწინებდა სომხეთის მიერ ლიბერალური სავაჭრო მიდგომის კავშირში შემავალი სამი ქვეყნის პროტექციული პოლიტიკით ჩანაცვლებას. უნდა აღინიშნოს, რომ ევრაზიის ეკონომიკუტი კავშირი ითვალისწინებს, არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სამხედრო ინტეგრაციასაც. თუმცა სომხეთისთვის უმთავრესი მიზეზი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებისა იყო ეკონომიკური პროგრესი, რითაც გარკვეულ სავაჭრო ურთიერთობებს დაამყარებდა მის წევრ ქვეყნებთან. საკითხავია გაამართლა თუ არა მოლოდინები ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებამ და რამდენად წინ წავიდა ქვეყანა სავაჭრო ეკონომიკური თვალსაზრისით.

იმის მიუხედავად, რომ სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია და იძულებულია გაატაროს მისი პოლიტიკა, რადგან სომხეთი რუსეთთან ურთიერთობას განიხილავს როგორც მთიანი ყარაბაღის რეგიონზე შენარჩუნების მთავარ გარანტს, მაგრამ არც აშშ-ის აქტიური ქმედებები უნდა დავტოვოთ ყურადღების მიღმა ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ამერიკის პოლიტიკური თუ ბიზნეს წრეები სრულ მხარდაჭერას უცხადებდნენ სომხეთის მოლაპარაკებებს აზერბაიჯანთან და კომპრომისული პოლიტიკა დაემყარებინა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში. ეს მხარდაჭერა რა თქმა უნდა ამერიკის ინტერესებშიც შედიოდა, რადგან ორ საქმეს ერთად მოაგვარებდა. სომხეთის ტერიტორიაზე

აზერბაიჯანიდან ნავთობსადენის გატარების სანაცვლოდ ერთი მხრივ, ამერიკულ ინვესტიციებს დააბანდებდა აზერბაიჯანის სექტორში, მაგრამ მეორე მხრივ ნავთობსადენის სომხეთის ტერიტორიაზე გატარება ხელს შეუწყობდა სომხეთში ამერიკის პოზიციების გაზრდას. საბოლოოდ აზერბაიჯანი და სომხეთი პროდასავლურ ორიენტაციას აიღებდნენ, ასე თუ ისე ყარაბაღის კონფლიქტს მოაგვარებდნენ და რაც ყველაზე მთავარია რუსეთს აღარ ექნებოდა გეოპოლიტიკური ბერკეტი, რომელიც მას დღესაც აქვს. ის ისევ ცდილობს საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას ორივე ქვეყანაში თავისი "შუამავლის" როლით.

როდესაც სომხეთსა და რუსეთს შორის 1996 წელს ხელი მოეწერა მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას ეს აზერბაიჯანის მხარემ „სამხედრო პაქტად" აღიქვა. ამავე წელს რუსეთმა სომხეთს მილლიარდი დოლარის შეიარაღება და სამხედრო აღჭურვილობა მიაწოდა. რა თქმა უნდა ამ პოლიტიკით რუსეთსა და სომხეთის ორმხრივი დაინტერესება გამოხატა, რადგან რუსეთს რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ინტერესები ძალიან აღელვებს. ამავე დროს სომხეთს არ აწყობს რუსეთის დასუსტება, რადგან თუ საქართველოსა და სომხეთში რუსეთი დასუსტდება და შეზღუდავს სამხედრო ძალებს, ეს პირდაპირპროპორციულად აისახება სომხეთის საგარეო პოლიტიკაზე. სომხეთის მთავრობას, სურს რა აზერბაიჯანის ენერგეტიკული პროექტებისთვის ხელისშემშელელი ფაქტორის მუდმივი არსებობა, რეგიონის აშშ-ს გავლენაში მოქცევა შეუძლებელს გახდის მოსკოვ-თეირან-ერევანის გეოპოლიტიკური ღერძის რეალიზებას. 2003 წელს სომხეთი „ევრაზიულ ეკონომიკურ საზოგადოებაში" შევიდა სადამკვირვებლო მისიით, ხოლო 2013 წელს „ევრაზიულ საბაჟო კავშირში" შესვლა გადაწყვიტა.

სომხეთის დამოუკიდებელი ეკონომისტების აზრით, ევრაზიულ კავშირში სომხეთის შესვლის პირველ წელს მისი ეკონომიკური ზრდა სამ პროცენტამდე

შემცირდა, რაც იწვევს საგარეო ვალების აღებას. (5,08 მილიარდი, 2015 წ; 5,8 მილიარდი, 2016წ; 6,3 მილიარდი 2017 წ.) [11]

აქედან გამომდინარე ისინი ფიქრობენ, რომ ევრაზიულ კავშირში ყოფნის სარგებელი ქვეყანას აღარ ექნება და აზრი აღარ აქვს მის იქ ყოფნას, ასევე რუსეთი სომხეთს საშუალებას არ მისცემს ევროკავშირთან დადოს ხელშეკრულება.

პოლიტოლოგ, ლეონ ნარსესიანის თქმით:

„ჩვენ არაერთი მწარე გამოცდილება გვაქვს, თუ როგორ დაგვახევინა უკან ჩვენმა 46 სტრატეგიულმა პარტნიორმა, თუნდაც გასულ ზაფხულს. საქართველოს 2017 წლის სექტემბრის წვრთნებში სომხეთმა მონაწილეობაზე სწორედ მოსკოვის ზედმეტი გაღიზიანების თავიდან ასარიდებლად განაცხადა, ამიტომაც სულაც არ არის გამორიცხული, რუსეთმა სარქისიანს უკვე გადაწყვეტილ საკითხზე აზრი შეაცვლევინოს“. [12]

რუსეთი ერთი მხრივ ყურადღებას არ ამახვილებს თავისი სატელიტი ქვეყნის ევროპისკენ სწრავფვაზე, მაგრამ რუსეთის ელჩი სომხეთში (ვოლინკი) ავრცელებს გამაფრთხილებელ მიმართვას. სადაც მისი თქმით:

„სომხეთისთვის უსაფრთხოების გარანტიების მინიჭების საკითხში ევროპის კავშირი რუსეთს ვერ ჩაანაცვლებს. ამ მხრივ, საკუთრივ ევროკავშირიც „ნატოზეა“ დამოკიდებული. დოკუმენტი, რომელიც გეგმის მიხედვით სომხეთსა და ევროკავშირს შორის უნდა გაფორმდეს, შეიცავს ევროკავშირის დამატებით ვალდებულებებს, სომხეთისთვის რაიმე სახის საჭირო პრეფერენციების მინიჭებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ ამჟამად, ევროკავშირსა

[11]სომხეთი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი გახდა, (http://www.tabula.ge/ge/story/88518-somxetievraziuli-ekonomikuri-kavshiris-tsevri-gaxda- უკანასკნელად გადამოწმებულია 01.05.2019)

[12]სომხეთიევრაზიულკავშირსადაევროკავშირსშორის.(https://www.ambebi.ge/article/217355-somxetievraziul-kavshirsa-da-evrokavshirs-shoris - უკანასკნელად გადამოწმებულია 01.05.2019)

და სომხეთს შორის ყველაზე ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმი არსებობს და „GSPT“ -ის სახელით ცნობილი პრეფრტრენციული სისტემა მოქმედებს“. მისივე თქმით „ სომხეთს შეუძლია იქცეს თანამშრომლობის ხიდად ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, იმ შუამავლად, რომელსაც ასე ხშირად ახსენებენ ხოლმე“. [13]

ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე 1990-იან და 2000-იან წლებში სფეროებადაა დაყოფილი, რომელიც მოიცავს დემოკრატიის ხელშეწყობას, ენერგეტიკულ და უსაფრთხოების პოლიტიკას, კონფლიქტების მოგვარებაში დიპლომატიურ საქმიანობასა და ფინანსურ დახმარებას, რომელიც რეგიონის სახელმწიფოებს დიდი ხნის განმავლობაში წელიწადში ერთხელ ურიგდებოდათ. ხოლო 2004 წელს ამ პროექტს დაემატა ბუშის ადმინისტრაციის მიერ შექმნილი სახსრების გაცემის ინსტიტუტი (Millenium Chalange Corporation), რომლის საქმიანობის სფეროებიც გახლდათ საქართველო და სომხეთი. ეს ის ქვეყნები ივნენ, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ევრაზიის იმ ხუთ სახელმწიფოთა რიცხვს, სადაც ფინანსურმა დახმარებამ 1992 დან 2005 წლამდე ერთ მილიარდ დოლარს მიაღწია. [14]

2000 იანი წლების დასაწყისში სომხეთისთვის გაცემული დახმარებები, მისი ბიუჯეტის 20 პროცენტამდე გაიზარდა. ეს კი იმის მიმანიშნებელი იყო, რომ სომხეთისთვის აშშ -საც და რუსეთსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ასეთი ფინანსური დახმარებები რეგიონის ქვეყნებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან უფრო აახლოებს და აშშ-ს დადებით იმიჯს აყალიბებს, თუმცა ვერ გავექცევით იმ რეალობასაც, რომ ეს გარემოება ვაშინგტონზე მიბმულობას იწვევს და შესაბამისადაც ის წყვეტს, თუ რაში უნდა გამოიყენონ ქვეყნებმა ეს დახმარება,

[13] სომხეთი-ევროკავშირი. მეორე, წარმატებული მცდელობა. (https://jam-news.net/?p=72425&lang=ka, უკანასკნელად გადამოწმებულია 30.04.2019)

[14] Jim Nichol: Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests. CRS Report for Congress 2007, გვ. 25.

ასევე აკონტროლოს მისი შეჩერება-გაყინვა, რაც გულისხმობს მაგალითად ადამიანების უფლებების დარღვევის ან დემოკრატიული პრინციპების დარღვევის შემთხვევაში ამერიკის გადაწყვეტილებას არ მისცეს საშუალება გამოიყენონ გაწეული დახმარება. ამის ნათელი მაგალითია 2008 წელს სომეთში შეჩერებული დახმარება, რომელიც გამოიწვია პრეზიდენტის სერჟ სარქისიანის არჩევის დროს მომხდარმა ძალადობრივი ქმედებების ფაქტმა.[15]

ამერიკელი ინვესტორების აზრით, სომხეთის მნიშვნელოვან სოციალურ ეკონომიკურ პოტენციალს ქმნის გამოცდილი სამუშაო კადრები, ოპტიკურ წარმოებაში, განსაკუთრებით ელექტრომანქანათმშენებლობაში, ქიმიურ მრეწველობაში, მშენებლობაში, არქიტექტურასა და ა.შ. თუმცა სომხეთის გლობალურ პროცესებში უფრო ფართო ჩართვას ობიექტურ ფაქტორებთან ერთად სუბიექტური მიზეზებიც აბრკოლებს, რაც დამოკიდებულია პირველ რიგში აშშ-ს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ კურსზე.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ თურქეთს ისევ უწევს რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინება და ამას გვერდს ვერ უვლის, მეორე მხრივ, ამერიკისა და ევროსაბჭოს მოთხოვნებისა და კრიტერიუმების გათვალისწინება, რათა არ შეუჩერდეს ფინანსური დახმეარება და ინვესტიციები. მაგრამ რუსეთის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების საკუთარ ინტერესებზე წინ დაყენება, ასევე ამერიკისა და რუსეთს შორის „დაპირისპირება“ ქვეყანაში გავლენის გასაძლიერებლად, სოხეთის გლობალურ განვითარებას საგრძნობლად შეაფერხებს.

2.2. აზერბაიჯანი, როგორც ტრიმერი და მისი ურთიერთობები აშშ-თან

[15] Armenian president receives coordinator of U.S. assistance to European and Eurasian countries. Armenpress, 15.5.2008.p.1.

1991 წლის დასასრულს საბჭოთა კავშირის დაშლამ მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე, რაც გამოვლინდა ამ სისტემაში შემავალი ქვეყნების ახალი პოლიტიკის შენებით. ყველა მათგანმა განსხვავებული საგარეო მიმართულება აირჩია, სადაც მიზნის მიღწევას იოლად შეძლებდნენ. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ორიენტირებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისგან თავისი მახასიათებლებით. ყველა მათგანს არაერთი პრობლემა გამოუჩნდათ პირველ რიგში ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. მათ მყარი სახელმწიფოების ასაშენებლად და დამოუკიდებლობის განსამტიცებლად უნდა განეხორციელებინათ რეფორმების საკმაოდ რთული კურსი ეკონომიკაში და პოლიტიკაში. ყურადღება გავამახვილეთ აზერბაიჯანის, როგორც ტრიმერის პოლიტიკაზე, რომელიც ცალსახად ხასიათდება ყველასგან დამოუკიდებელი კურსით. აირჩია რა დაბალანსების პოლიტიკა, ეს მას ნეიტრალური სახელმწიფოს ფუნქციას ანიჭებს.

ბუფერულ სახელმწიფოს მაიკლ პარტემისეული სამი ტიპი არსებობს, რომელიც პირველ რიგში მოიცავს ნეიტრალიტეტს, შემდეგ ორი დაბუფერებული ძალის ალიანსს და ბოლოს მესამე, გარე ძალაზე დაყრდნობას. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ სამივე ტიპი გააქტიურებულია. [16]

აზერბაიჯანი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის არის ერთადერთი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც არ იმყოფება რომელიმე ქვეყნის შეიარაღებული ძალა. ის არ სცდება ნეიტრალიტეტის ჩარჩოებს საიდანაც გამომდინარეობს მისი, როგორც ტრიმერის სტატუსიც.

აზერაიჯანი, როდესაც საბჭოთა ჩრდილიდან გამოვიდა თავისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცება დაიწყო და ცდილობდა ნეიტრალური პოზიცია დაეჭირა საერთაშორისო ორგანიზაციებთად, მაგრამ მისი განვითარების ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებლობის პირველ წლებში მან თურქეთთან დაახლოებაში გამოცატა თავისი საგარეო

[16] თ. თურმანიძე. „ბუფერული სახელმწიფოები“, დისერტაცია, თბილისი. 2010. გვ.45

პოლიტიკა, რადგან თურქეთი მიიჩნეოდა დასავლეთთან დამაკავშირებელ ხიდად, აზერბაიჯანის მხარისთვის ეს საკმაოდ ხელსაყრელი ვარიანტი იყო. მაშინდელმა სომხეთის პრო-თურქულმა ორიენტაციამ გააღიზიანა ირანი და რუსეთი და რა თქმა უნდა თურქეთსაც გაუჩნდა საფიქრალი გაუწევდა თუ არა წინააღმდეგობას ორ ძლიერ ქვეყანას.

ირანისა და სომხეთის დაბალანსება, აზერბაიჯანის ტერიტორიიდან სომხეთის მიერ რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანა, ასევე წინააღმდეგობა ქვეყნის დსთ-ში გაწევრიანების საკითხისადმი, იმ ფაქტზე მეტყველებს, რომ აზერბაიჯანს პოლიტიკა მიმართული ჰქონდა ურთიერთობების დაბალანსებისაკენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ პირობების გათვალისწინებით, რომ სომხეთი მიიჩნეოდა აზერბაიჯანის ტერიტორიის მთლიანობის დამრღვევად, რომელმაც მისი საკუთრების მეხუთედი მიიტაცა.[17]

აზერბაიჯანზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ მის შიდა მდგომარეობას, რომელშიც არც თუ ისე სახარბიელოდ აქვს საქმე, რადგან კორუფციისა და ნეპოტიზმის დონე იმდენადაა გაზრდილი ქვეყანაში და მმართველი სისტემები დასუსტებული, ვიდრე ეს საბჭოთა კავშირში იყო . ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება აძლიერებს რეჟიმს.

თუმცა ამავე დროს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა მონაცემები, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანი კარგად ვითარდება, ხოლო საბანკო ანგარიშები, რომლებიც მთავრობას გააჩნია იმაზე მიუთითებს, რომ მას დიდი ნაღდი ფული აქვს და ელიტებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში ძალაუფლების განმტკიცებისთვის შეუძლია გამოყენება. აზერბაიჯანის მთავრობას ასევე გააჩნია ძალიან დიდი რესურსები, იმისთვის რომ საზოგადოებრივი აზრის თავის სასარგებლოდ განსაწყობად დაიქირავოს

[17]პირობითი ჩართულობა, აშშ-ს ინტერესები სამხრეთ კავკასიაში (https://ge.boell.org/ka/2018/02/06/pirobiti-chartuloba-ashsh-sakmianoba-samxret-kavkasiashi -უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)

დასავლელი საინფორმაციო საშუალებები და კონსულტანტები, რათა თავისი რეპუტაცია და პრესტიჟი აღამაღლოს.[18]

ამერიკის შეერთებული შტატები აზერბაიჯანს, რომელიც ენერგეტიკულ სექტორში პოტენციურ მოკავშირედ მიაჩნდა ფრთხილად ექცეოდა. მისი პოლიტიკა მიმართული იყო იმისკენ, რომ დასავლურ კომპანიებს კასპიის რესურსების საექსპლუატაციოდ კონტროლის მოპოვებაში დახმარებოდა და აეშენებინათ ახალი გაზ და ნავთობსადენი. ეს უნდა მომხდარიყო ირანისა და რუსეთის გვერდის ავლით, რაც რა თქმა უნდა დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული, რადგან ეს არ შედიოდა არც ირანისა და არც რუსეთის ინტერესებში. 1994 წლის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რომელიც აზერბაიჯანსა და აშშ-ს შორის მოხდა და რომელიც შეეხებოდა აზერბაიჯანის საზღვაო წიაღისეული მარაგების ექსპლუატაციას, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ დიდ წარმატებას ნიშნავდა ამ საქმეში. ამას მოყვა ის ფაქტი, რომ ამერიკულმა კომპანიებმა მთლიანი რაოდენობის 38 პროცენტის კონტროლი დაიწყეს და რუსეთს ფაქტობრივად დაუტოვეს „ლუკოილის“ მეშვეობით ათი პროცენტი, რომელიც ძლივს მოიპოვა. აღსაღნიშნია ის ფაქტიც, რომ ამ ხელშეკრულებაში რუსეთი საერთოს არ მონაწილეობდა.

აზერბაიჯანმა, საქართველომ და სომხეთმა აშშ-სთან 1990 იანი წლების შუა პერიოდში ხელი მოაწერა ორმხრივ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ამერიკელი ექსპორტიორები ისარგებლებდნენ სავაჭრო რეჟიმის შეღავათიანი პირობებით, ხოლო ამერიკაში ივიგე შეღავათით ისარგებლებდნენ აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთიც. ასევე გაფორმდა ორმხრივი შეთანხმება, რომელშიც გაწერილი იყო ამერიკული კორპორაციების კაპიტალდაბანდებების შექმნას სამხრეთ კავკასიის ამ სამ ქვეყანაში და ასევე პირიქით. ამერიკელები კმაყოფილები არიან აზერბაიჯანის საბაზრო კურსით, ასევე ეროვნული ვალუტის სიმყარით და სასოფლო-სამეურნეო ტემპის ზრდით.

[18] ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი. რედაქტორი ს. ასათიანი. „სამხრეთი კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“. თბილისი. 17 ივნისი. 2014. გვ. 159-160

ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი ინტერესები, რომ ნავთობის სფეროში გამოიხატება ეს უცხო არაა. ვაშინგტონის აზრით, უახლოეს 10 წლში კასპიის რეგიონი გახდება ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთბმომპოვებელი რეგიონი, რომელიც არ არის „ოპეკში“ გაწევრიანებული. უცხოური და ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანიები სამუშაოებს აფართოვებენ აზერბაიჯანში. მიმდინარეობს „შაჰ-დენიზის“ გაზის საბადოს დამუშავება და ათვისება. აშენდა ასევე „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენი. ამ სამუშაოებში ამერიკის დიდი წვლილია, რადგან მისი პოლიტიკური ძალისხმევის გარეშე, ფაქტობრივად ვერაფერი გამოუვიდოდათ ცალკეულ ქვეყნებს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ იმასაც მიაღწია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამივე ქვეყნის ჩართვა მომხარიყო „ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში“. ამ ქვეყნებმა ამერიკას გაუხსნეს თავისი საჰაერო ზონები. აზერბაიჯანი და საქართველო მზად იყვნენ სამხედრო ჯარების გასაგზავნად ერაყსა და ავღანეთში. მათ შორის აზერბაიჯანი პირველი მუსლიმური ქვეყანაა, რომელმაც ჯარები გაგზავნა. [19]

აზერბაიჯანის კუთვნილი წიაღისებულის მარაგების უსაფრთხოების საქმეშიც ამერიკა აქტიურ მონაწილეობას იღებდა, ორმა მთავრობამ განაცხადა, რომ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ სარადარო დანადგარებზე ერთად იმუშავებდნენ.

გაზსადენის პროექტს („ნაბუქო“), რომელსაც ტრანსპორტირება უნდა მოეხდინა აზერბაიჯანის ბაქოსთან მდებარე საბადოებიდან დასავლეთ ევროპაში, ამერიკის შეერთებული შტატები მხარდაჭერას უცხადებდა, ამის მიზანი კი ამ საქმეში ირანის მონაწილეობის გამორიცხვა იყო.[20]

---

[19] Georgia to withdraw all of its troops from Iraq. AFP, 9.8.2008. (http://www.spacewar.com/reports/Georgia_to_withdraw_all_of_its_troops_from_Iraq_999.html-უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)

[20] Michael Kuser: US Flip-Flops on Caspian Gas. BusinessWeek, 25.9.2007. (https://www.bloomberg.com/news/articles/2007-09-25/u-dot-s-dot-flip-flops-on-caspian-gasbusinessweek-business-news-stock-market-and-financial-advice-უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)

აშშ-ს სამთავრობო დახმერების ბიუჯეტის მიხედვით აზერბაიჯანმა ვაშინგტონისგან 2001-2011 წლებში 142 მილიონი დოლარი მიიღო დახმარების სახით, რომლის მიზანი იყო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუუნველყოფა, რომლის დანიშნულება აზერბაიჯანის ტერორიზმთან ბრძოლის შესაძლებელობის გაზრდა, საზღვრების კონტროლი, არალეგალური გზავნილების ბლოკირება და კასპიის რეგიონში მასობრივი განადგურებს იარაღის გავრცელების პრევენცია იყო.[21]

2013 წლის ბოლოს აზერბაიჯანმა თავი შიეკავა „აღმოსავლეთპარტნიორობის" ფარგლებში ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისგან. აღნიშნული ფაქტი შესაძლოა რუსეთის ფაქტორიდან იყოს გამოწვეული. ამ ქვეყანას სურს ევროპასთან თანამშრომლობა, მაგრამ არც ის უნდა, რომ რუსეთთან გაართთულოს ურთიერთობა სხვადასხვა მიზეზების გამო. აზერბაიჯანის მთავრობა ყველანაირად ცდილობს მოხიბლოს ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ქვეყნების წარმომადგენლები, თუმცა საკმაოდ ხშირად აკრიტიკებენ მას არაჯანსაღი პროცესების და ადამიანის უფლებების სფეროში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის „მარწუხებისგან" გათავისუფლებული აზერბაიჯანი, მაინც ცდილობს დამოიკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს, რადგან ზიანი არ მიადგეს სახელმწიფოს ეროვნულ ფასეულებებს და თვითმყოფადობას. ეს რა თქმა უნდა არ გულისხმობს მისი სავაჭრო, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა ურთიერთობების სივრცის ჩაკეტვას. ამის ნათელი მაგალითია სხვადასხვა წამყვან და ძლიერ სახელმწიფოებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან არსებული ორმხრივი ურთიერთობები, რაც რა თქმა უნდა აზერბაიჯანის ეროვნულ ინტერესებს მტკიცედ იცავს.

---

[21]აშშ-ს მიერ იარაღის გაყიდვის აკრძალვა აზერბაიჯანის შეიარაღებას ხელს არ შეუშლის (http://reporter.ge/ass-is-mier-tavdacvis-mom/- უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)

აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკური კურსის განხილვისას ნათლად ჩანს მისი ტრიმერის პოლიტიკა. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მის ხელთ არსებული ბუნებრივი რესურსი, კერძოდ ნავთობი დიდ დახმარებას უწევს დიდ და ძლიერ სახელმწიფოებთან აწარმოოს დაბალანსების პოლიტიკა. ეს შესაძლოა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად მივიჩნიოთ რადგან ნავთბის მარაგი მას საშუალებას აძლევს სასურველი პოლიტიკა გაატაროს. თუმცა აღსანიშნია ის ფაქტი, რამდენად არის აღნიშნული სტატუსი მომგებიანი ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების და დემოკრატიის ხარისხის განსაზღვრისათვის.

2.3. აშშ-საქართველოს სამხედრო სტრატეგიული და პოლიტიკური ურთიერთობები

საქართველო აშშ-თვის რომ განსაკუთრებულ სახელმწიფოა, ეს საიდუმლოს არ წარმოადგენს. განსაკუთრებულობა გამოიხატება იმაში, რომ საკმაოდ დიდხნიანი პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა აქვს დამყარებული სამხრეთ კავკასიის ამ რეგიონთან, რომელიც თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე გარკვეულ ცვლილებებს განიცდის ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპზე.

დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამყარდა 1992 წლის 23 აპრილს. აქედან მოყოლებული აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და არაღიარების პოლიტიკას. მისი უწყვეტი დახმარება საქართველოსთვის, რაც გამოიხატება სხვადასხვა პროგრამებით, ხელს უწყობს საქართველოში საბაზრო ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებას, ქვეყნის მისწრაფებას, გაწევრიანდეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

2002 წელს აშშ-ს ინიციატივით დაიწყო საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, რომელიც საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებს

უწევდა დახმარებას პანკისის ხეობის მთიან საზღვრისპირა რეგიონში, რათა მოეგერიებინათ მეამბოხეებისგან შიდა ტერორისტული საფრთხეები. ეს პროგრამა 2005 წელს გარდაიქმნა სტაბილურობის შენარჩუნების ოპერატიულ პროგრამად, როელიც ერაყის მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციებისთვის ამზადებდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.

2008 წლის რუსეთ საქართველოს ომი უდიდესი გეოპოლიტიკური მოვლენა იყო, სადაც რუსეთმა ღიად დააფიქსირა საკუთარი ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულობა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან მიმართებაში. ამ ომმა საქართველოს სამხედრო პოტენციალი საგრძნობლად შეამცირა და ბრძოლისუუნარო გახადა. შემდეგ საქართველომ მოახდინა სამხედრო სფეროს განახლება და მხარდაჭერა გამოუცხადა გლობალურ უსაფრთხოებას. ათასობით ჯარისკაცი გაემგზავრა აშშ-ს მეთაურობით ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე ოპერაციებში, ასევე აფრიკასა და ბალკანეთში. საქართველომ უფლება მისცა ამერიკას თავისი ტერიტორია გამოეყენებინა ნატოს სამხედრო ძალებისა და ტვირთის ავღანეთში გადასაზიდად.

ამერიკის შეერთებული შტატებსა სა საქართველოს სორის 2009 წელს ხელი მოეწერა ქარტიას, რომელიც ითვალისწინებდა სტრატეგიულ პარტნიორობას. ქარტია ეფუძნებოდა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პრინციპებს, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობას, საზღვების ურღვევობას, დემოკრატიის განმტკიცებასა და სტაბილურობას. ამ წარტიის გაფორმების შემდეგ ურთიერთობები უფრო მტკიცე და ინტენსიური გახდა აშშ-სა და საქართველოს შორის.

ქარტიაში ყურადღება გამახვილებულია იმ ძირითად ასპექტებზე, რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებას გულისხმობს რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის მიმართ საფრთხეების არსებობს გათვალისწინებით საქართველოსა და აშშ უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობა, მასობრივი განადგურების იარაღის და სახიფათო ტექნოლოგიების გავრცელების საქმეში წინააღმდეგობის გაწევა.

ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროებში თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველო და ამერიკა განაახლებენ ხელშეკრულებას ორმხრივი ინვესტიციების შესახებ და აშშ დახმარებას გაუწევს საქართველოს ომის შემდგომ რეკონსტრუქციას და ფინანსურ სტაბილურობას, დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მედია გადმოცემების აღდგენას. კულტურის განათლებისა და სამეცნიერო კვლევების სფეროებში გაიზრდება გაცვლითი პროგრამები, ასევე სავიზო პროცედურების გამარტივებას ამერიკაში აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეთათვის. დემოკრატიისა და პოლიტიკური პლურალიზმის განსამტკიცებლად, რათა გაძლიერდეს მედიის თავისუფლება, სასამართლო რეფორმა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და თავისუფლებები შეიქმნება ახალი სამუშო ადგილები და ეკონომიკური რეფორმებისა და ლიბერალიზაციის პროცესი დაიწყება. თუმცა თამაშრომლობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას მაინც ენერგეტიკული სექტორი წარმოადგენს. მხარეები შეისწავლიან საქართველოს ენერგეტიკული პროდუქციის ზრდის შესაძლებლობებს და გააანალიზებენ ევროპული ბაზრებისკენ ენერგომომმარაგებლების ტრანზიტის ფიზიკულ უსაფრთხოებას. ხოლო აზერბაიჯანთან და თურქეთთან ამერიკა და საქართველო განავითარებენ ენერგოინფარსრუქტურის ახალა დერეფანს, რაც კარგი საშუალებაა როგორც საქართველოსთვის ისე ევროპისთვის ბუნებრივი აირის უსაფრთხო იმპორტირების საქმეში აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან.

თავდაცვის მიმართულებით თანამშრომლობა საქართველოსა და აშშ-ს შორის 2011 წლის სექტემბრიდან გაღრმავდა, როცა საქართველო შეუერთდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. (აღსანიშნავია, რომ ის სერიოზულ საფრთხეს უქმნის პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ახლო აღმოსავლეთისაკენ ჯიჰადისტი ტერორისტების გადაადილებას.) თანამშრომლობის გაღრმავების შემდეგ საქართველოსა და აშშს შორის ჩამოყალიბდა მზარდი ურთიერთობა თავდაცვის სფეროში, რაც ხელს უწყობს რეფორმების და მოდერნიზაციის პროცესს, აუმჯობესებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას და ნატო-სა და კოალიციურ

ძალებთან თავსებადობას. უნდა აღინიშნოს საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა, რადგან აშშ-თვის ჩვენი ქვეყანა მთავარი მოკავშირეა ევროპის ფართო შავი ზღვის და სამხრეთ კავკასიის რეგიონებში. აგრეთვე საქართველოს მთავარი ენერგოდერეფანის სტატუსი უფრო ზრდის ამერიკის ინტერესებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს ინტერესი აქვს მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაავრცელოს დემოკრატიული ფასეულობები, დანერგოს და განავითაროს მათ შორის საქართველოშიც. მისი სტრატეგიული ინტერესი უსაფრთხო მსოფლიოს შექმნაა, სადაც ყველა ქვეყანა თავისუფალი იქნება, ასევე ექნებათ თანასწორუფლებიანი განვითარების შესაძლებლობა. საქართველოს ფაქტორი რა თქმა უნდა ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარეობს, რომელიც პირდაპირ კავშირშია ამერიკის ეკონომიკურ და პოლიტიკუს ინტერესებთან კასპიისა და შუა აზიის რეგიონში.

საქართვველოს საგარეო პოლიტიკიკის სტრატეგიაში ფიქსირდება:

„საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდნარე, ქვეყნის უსაფრთხოების, განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროკავშირში ინტეგრაცია და ნატო-ში გაწევრიანება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა“. [22]

საქართველოს ხელისუფლება, თავის ეროვნულ ინტერესად ნატოსა და ევროკავშირში შესვლას მიიჩნევს, ასევე აშშ-ს სამხედრო ბაზების განთავსების სურვილი აქვს საკუთარ ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა ხომ არ ჩაენაცვლება ერთ აგრესორს მეორე აგრესორი? მითუმეტეს, საქართველომ უკვე გამოიარა მსგავსი სიტუაცია XIX საუკუნის დასაწყისში. ჩვენი აზრით, საქართველოს შემთხვევაში საქმე მდგომარეობს მყარ ეროვნულ ინტერესში, რომელიც ტერიტორიულ მთლიანობაში გამოიხატება და ეწინააღმდეგება გატარებულ პოლიტიკას (განისაზღვრება „მეორე რიგის“ საკამათო ეროვნული

[22] საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. 2015-2018 წ.წ. (http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx- უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)

ინტერესებით- ნატოსა და ატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებით). შესაბამისად საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს არსებული რეალობა და ახალ საინტეგრაციო გეგმაზე დაიწყოს აქტიური მუშაობა, რომელიც გაითვალისწინებს ყველა მხარის ინტერესს. საჭიროა ჩამოყალიბდეს ახალი მტკიცე საგარეო პოლიტიკური კონცეფცია. ეს იქნება ევრაზიული სპეციფიკის და გათვალისწინებული იქნება ახლოსმდებარე ქვეყნების პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური თუ ისტორიული თავისებურებები.

2012 წლის ამერიკის შეერთებული შტატების სენატის სამკაციანი მისიის სტუმრობით, რომელსაც ჯონ მაკეინი ხელმძღვანელობდა სიტყვით გამოსვლისას დაგმო საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და გამოითქვა მზადყოფნა რომ საქართველოს ექნება თავდაცვის საშუალება და ამერიკა აპირებს შეიარაღებას საქართველოს სახელმწიფოს .

რაც შეეხება 2017 წლის შეხვედრას, რომელიც შედგა აშშ-ს პრეზიდენტ ტრამპსა და საქართველოს პრემიერ მინისტრს შორის რომელიც საკმაოდ ექსპრომტად მოხდა. პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ურთიერთობას და განაცხადა, რომ სერიოზული მიზნები და გეგმები აქვს საქართველოსთან დაკავშირებით. ასევე პრემიერი შეხვდა ამერიკის სახელმწიფო მდივანს, სადაც განიხილეს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა და ევროატლანტიკულ ინტეგრაციაში ამერიკის შეერთებული შტატების სრული მხარდაჭერა.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აშშ- ყოველთვის მზადყოფნას გამოთქვამს საქართველოს მხარდასაჭერად, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიკურად და ფინანსურად, თუმცა რამდენად გამართლდება პრაქტიკული თვალსაზრისით მისი დანაპირები და დარჩება თუ არა მხოლოდ სიტყვებად მათი მხარდაჭერა ამას მომავალი გვიჩვენებს.

თავი III

ძალთა ბალანსის რეგიონალური ასპექტები სამხრეთ კავკასიაში

3.1. რუსეთ-აშშ-ს ინტერესების დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში

სამხრეთ კავკასიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გამოვყოთ ორი ძირითადი და მთავარი ამ რეგიონით დაინტერესებული გეოოლიტიკური მოთამაშე, რუსეთი და ამერიკის შეერთებული შეტატები, რომლებიც არ იშურებენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო მეთოდებს სამხრეთ კავკასიაში გავლენის გასაძლიერებლად. ეს რეგიონი კი თავისი სტრატეგიული მდებარეობით სავსებით ხელსაყრელ პირობებს უქმნის იმ ქვეყნებს, რომლებსაც მსოფლიო ასპარეზზე პირველობა სურს. „ცივი ომის" დასრულების პირველ ეტაპზე, რუსეთსა და აშშ-ის შორის შედარებით თბილი ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ამ ორმა ქვეყანამ სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო უსაფრთხოების, თუ სხვა სფეროებში შეთანხმებებს მოაწერეს ხელი, რომლებმაც ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისათვის შესაბამისი სამართლებრივი ბაზა ჩამოაყალიბა. მაგრამ 21-ე საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით იმ ფონზე როცა ამერიკა ავღანეთსა და ერაყში საომარ მოქმედებებში იყო ჩართული, რუსეთმა კი ნავთობიდან მიღებული შემოსავლების ზრდის შედეგად საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციების გამყარება დაიწყო, ამ ორ ქვეყანას შორის წინააღმდეგობები უფრო გაიზარდა ვიდრე ინტერესების თანხვედრა.

21-ე საუკუნის დასაწყისში რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს 2007 წლის თებერვალში მიუნხენის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე გამართული დებატები წარმოადგენდა რომლის მთავარი თემა უსაფრთხოების საკითხები იყო. სადაც ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი საკმაოდ დაძაბულ სიტყვიერ დაპირისპირებაში ჩაერთვნენ.

ამ კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინი გამოვიდა საკმაოდ აგრესიული სიტყვით:

"შეერთებული შტატები გასცდა თავის საზღვრებს ყველა-ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ჰუმანიტარულ სფეროში და თავისი ნება სხვა სახელმწიფოებს მოახვია, მაგრამ ყოველივე ამის შედეგად ლოკალური და რეგიონული ომები არ შეწყდა, ხოლო ამ ომებში დაღუპულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ჩვენ ვერ ვხედავთ ვერაფერს, რაც ამ ზღვარგადასულ ძალას შეაკავებდა. აშშ ისე გადადის ერთი კონფლიქტიდან მეორეზე, რომ ვერც ერთი მათგანის მოგვარებას ვერ ახერხებს. ცალმხრივი, უკანონო ქმედებით მან ერთი პრობლემის მოგვარებაც ვერ შეძლო. ეს არის ერთი ბატონის, ერთი სიუზერენის მსოფლიო და ამას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასტან. ამგვარი ვითარება აძლიერებს სხვა ქვეყნების სურვილს, შექმნან ბირთვული იარაღი. იქმნება ძალიან სახიფათო ვითარება, რომელშიც ვეღარავინ გრძნობს თავს უსაფრთხოდ, ვინაიდან საერთაშორი კანონი ზურგს უკან ვერ დაიმალება."[23]

თუ ვისაუბრებთ ამერიკის შეერთებული შტატებსა და რუსეთს შორის გეოპოლიტიკური დაპირისპირების თეორიულ ასპექტებზე, გეოპოლიტიკის მთავარ კანონზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც ფუნდამენტალური დუალიზმის სახელითაა ცნობილი, რომელიც მსოფლიოს გეოგრაფიული მოწყობისა და ცივილიზაციების ისტრიულ ტიპოლოგიაში გვხვდება. დუალიზმი ორი მმართველობის დაპირისპირებაში გამოიხატება, ესაა სახმელეთო ანუ „თელულოკრატია" და საზღვაო ანუ „თალასოკრატია". დუალიზმისთვის დამახასიათებელია მისი ორი შემადგენელი პოლუსის ერთმანეთთან დაპირისპირება, თუმცა ამ მტრობის ხასიათი შეიძლება იცვლებოდეს ისტორიული ეპოქისა და პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე. „სახმელეთო მმართველობა" -ის თანამედროვე განმარტება „ევრანიანიზმია", რომელიც სივრცის მდგრადობასთანაა დაკავშირებული, ასევე მისი თვისობრივი ორიენტაციებისა და მახასიათებლებების სიმყარესთან. მისი დამახასიათებელი თვისებებია საზოგადოების წევრთა ერთმანეთზე დამოკიდებულება და ასევე კონსერვატიზმი. [24]

---

[23] ნატო-რუსეთი (http://www.nplg.gov.ge/- უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)

[24] ა. დუგინი. „გეოპოლიტიკის საფუძვლები". 1998 წ. გვ. 15

როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა დასავლეთი გააქტიურდა რუსეთსა და მთელს პოსტსაბჭოეთში დემოკრატიის ხელშესაწყობად. ამერიკის შეერთებული შტატები განსაკუთრებულ ყურადღებას უთობდა რუსეთის ინტეგრაციას საერთაშისო დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამის დასტურია ის, რომ ამერიკამ (ოფიციალურმა ვაშინგტონმა) არ კააკრიტიკა რუსეთი საქართველოსა და მოლდოვას ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტებში უხეში ჩარევისთვის. თუ დავეყრდნობით გაეროს მიერ ჯერ კიდევ 1974 წელს მიღებულ „აგრესიის შესახებ“ მიღებული რეზოლუციის შინაარსს, რუსეთი მხარს უჭერდა დნესტრისპირეთში, აფხაზეთსა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე სეპარატიტულ დაჯგუფებებს, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს წინააღმდეგ მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფებებს.

საქმე იმაშია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეძლო დიდი პილიტიკური დატვირთვის მქონე ნავთობსადენების თავისებური გეგმის განხორციელება. ეს იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზრუმის პროექტები, რომლითაც რუსეთის სატრანსორტო მონოპოლია მოიშალა, ირანი კი საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოსა და აზერბაიჯანს კი რომლის ტერიტორიებზეც ნავთობსადენები გადის ამერიკა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა.

მართალია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან განსაკუთრებით აზერბაიჯანთან და საქართველოსთან ამერიკას მჭიდრო და მყარი კავშირი აქვს, მაგრამ მან უნდა გააცნობიეროს რომ რეგიონში არსებული კოფლიქტები ერთი მხრივ ყარაბაღისა და მეორე მხრივ აფხაზეთი-ე.წ სამხრთ ოსეთის ყურადღების გარეშე არ დატოვოს და მის მოგვარებაში მეტი წვლილი შეიტანოს, რადგან რუსეთი 20 წლის განმავლობაში ცდილობდა შეენარჩუნებინა ყარაბაღის „გაყინული“ მდგომარეობა და დღესაც ურევს სიტუაციას, ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რომ კიდევ უფრო მეტად ისარგებლებს ამ სიტუაციით, რაც დიდხნიან დესტაბილიზაციას

გამოიწვევს რეგიონში და სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის უსაფრთხოებას სამხრეთ კავკასიაში.

რეგიონის სახელმწიფოებიდან არცერთს შესწევს ძალა რუსეთს ღიად დაუპირისპირდეს, შესაბამისად დასავლეთის მხარდაჭერა აუცილებლად სჭირდებათ, მისი მხარდაჭერის გარეშე რუსეთთან კონფლიქტი არცერთს არ სურს, თუმცა მოვლენები შესაძლოა სხვანაირადაც განვითარდეს და სამხრეთ კავკასია უფრო მეტი მსხვილი გარჩევების არენად გადაიქცეს.

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ თუ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები რუსეთის გავლენის სფეროში სრულად გადავა, რეგიონი კატასტროფის წინაშე დადგება, რადგან ქვეყნებს, რომლებიც ანტირუსულად იქნებიან განწყობილნი და გაუმწვავდებათ შიდა კონფლიქტები, საბოლოოდ ეს გამოიწვევს სიტუაციის ჩიხში შესვლას. სიტუაციის ესკალაციის ერთადერთი გამოსავალი კი ისევ ამერიკა იქნება. ამიტომ რეგიონის სამივე ქვეყანამ ისე უნდა წარმართოს საკუთარი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, რომ ამ კატასტროფის წინაშე არ აღმოჩნდნენ, თუმცა იმის პროგნოზირება, თუ რომელი ქვეყანა როგორ მოიქცევა რთული წარმოსადგენია დღევანდელი გეოპოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე. ერთი რამ კი ცხადია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან სომხეთს რუსეთის ვასალობიდან გამოსვლა არ უწერია და ფაქტობრივად დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს აღარ იღებს.

3.2. რეგიონული უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში

რეგიონულ უსაფრთხოებაზე საუბრისას პირველ რიგში განვმარტოთ ტერმინი, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ გავაანალიზოთ მოცემული საკითხი. რეგიონული უსაფრთხოება არის მდგომარეობა გარკვეული რეგიონის სოციალურ ტერიტორიულ გაერთიანებებს შორის, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა დონეზე, კერძოდ სახელმწიფოს რამდენიმე მეზობელ რაიონში, ქვეყნის ცალკეული ადმინისრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში, გარკვეულ გეოგრაფიულ ზონაში შემავალი ქვეყნების ჯგუფში მასშტაბით. იგი ემყარება ნებისმიერ დონეზე საერთაშორისო და ეროვნულ უსაფრთხოების ურთიერთკავშირს. მისი ძირითადი

ელემენტებია პოლიტიკური, სამხედრო, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ფაქტორები და ა.შ. [25]

სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკმაოდ მძიმე ვითარებაა, რომლის გამომწვევი მიზეზები საკმაოდ ბევრია. აქ არსებული მთელი რიგი კონფლიქტები, სერიოზულ საშიშროებას უქმნის რეგიონულ უსაფრთხოებას. აუცილებელია განვიხილოთ ამ კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები, რაც რეგიონის დესტაბილიზაციას და რისკფაქტორებს განსაზღვრავს.

ბრიტანელი გეოგრაფი პიტერ ჰაგეტისეული კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც, გეოგრაფიული მახასიათებლების კვლევის საფუძველზე განსაზღვრავს არსებული კონფლიქტების მიზეზსა და პოტენციური კონფლიქტების წარმოშობის შესაძლებლობას. იგი განსაზღვრავს ყველა იმ გეოგრაფიული მდებარეობის რისკფაქტორს, რომელმაც კავკასიაში გამოიწვია სასაზღვრო-ტერიტორიული და ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

სომხეთს არ აქვს თავისუფალ ზღვაზე გასვლის პირდაპირი საშუალება. მას თურქეთთან დაძაბული ურთიერთობის გამო, მხოლოდ ირანისა და საქართველოს გავლით შეუძლია გავიდეს თავისუფალი წყლების ზონაში. აზერბაიჯანს მხოლოდ ნახევრად დახურულ კასპიის ზღვაზე შეუძლია გასვლა. საქართველოს კი შავი ზღვიდან ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით ხმელთაშუა ზღვაზე გასვლა შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ 1982 წლის გაეროს კონვენციით სახმელეთო სახელმწიფოებს უფლება აქვთ უპრობლემოდ გავიდნენ თავისუფალ ზღვაზე, ეს მაინც დამოკიდებულია ამ უკანასკნელის მოსაზღვრე სახელმწიფოების კეთილ ნებაზე.

ეთნიკური უმცირესობების არსებობა რომლის ერთი ნაწილი ცხოვრობს ერთ სახელმწიფოში ხოლო მეორე ნაწილი მეზობელ სახელმწიფოში ქმნის საფრხეს, რადგან ისინი ძირითადად ცდილობენ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებას და ეს

[25] ი. გორგილაძე. „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2009. გვ.118

არამხოლოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში, არამედ რუსეთშიც ხშირად იბრძვიან ერთ ქვეყნად ჩამოყალიბებას. ამის ნათელი მაგალითია ოსური მოსახლეობა, რომლებიც ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების გაერთიანებისკენ მიისწრაფიან. აზერბაიჯანისა და რუსეთის შემთვევაში კი ლეკები ცდილობენ სუვერენული ლეზგისტანის ჩამოყალიბებას.

დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ეროვნული უმცირესობები რომლებიც აქტიურად იბრძვიან გამოეყონ კონკრეტულ ქვეყანას დიდ საფრთხეს უქმნის რეგიონის უსაფრთხოებას. საქართველოს შემთხვევაში ასეთი უმცირესობაა აფხაზეთი, რომელიც დაუპირისპირდა ქართველებს, საქართველოსგან გამოყოფას ითხოვს და ამისათვის ეთნიკური წმენდაც ჩაატარა რეგიონის სეპარატიზაციის პროცესში ქართველების მხრიდან წინააღმდეგობის ალბათობის მოსასპობად. ასეთივე სურათია ყარაბაღშიც, სადაც სომხური ნაწილი ან სრულ დამოუკიდებლობას ან სომხეთთან მიერთებას მოითხოვს აზერბაიჯანული მოსახლეობის გაძევებით.

საერთო ბუნებრივი რესურსები, რომელიც აზერბაიჯანსა და თურქმენეთს აქვთ (კუპეზის ნავთობსაბადო), კონფლიქტის მიზეზი ხდება, რადგან ამ საბადოზე ორივე ქვეყანა პრეტენზიას აცხადებს კასპიის ზღვაზე იურიდიული სტატუსის არქონის გამო. საბოლოოდ კონფლიქტი დასრულდა ბაქოში თურქმენეთის საელჩოს დახურვით, რადგან მხარეებმა სეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების დამანგრეველ გარემოებად მოიაზრება საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ვაკუუმი რაშიც საკმაოდ სწრაფად მოექცა რეგიონი. მუქარები და დაძაბულობა თანმდევ პროცესად იქცა განვითარების ყველა ეტაპზე. საზღვრისპირა კონფლიქტები კი საკონტროლო დარტყმას აყენებდა და აფერხებდა მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ განვითარებას. სუსტდებოდა ასევე ეკონომიკური და სტრუქტურებიც და

სამოქალაქო ინსტიტუტებიც. კორუფციის დონეც სულ უფრო იზრდებოდა ვრცელდებოდა მთელს სამხრეთ კავკასიაში. [26]

სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების პრინციპებს გამოყოფენ, რომელიც ასეთი დამაბრკოლებელი გარემოებებიდან გამომდინარეობს. პირველი რაც ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა არის სტრატეგიული პრინციპი, რომლის თანახმადაც კავკასიის უსაფრთხოება განიხილება ე.წ. „დიდი თამაშის" ჭრილში ამერიკასა და რუსეთს შორის. ეს არის ის ორი ქვეყანა, რომელთაც ახასიათებთ ყველაზე მკვეთრად გამოხატული კავკასიური პოლიტიკა. შიდასახელმწიფოებრივი სისუსტის გამო, კავკასიური ქვეყნები, ხან ერთ მხარეს იხრებიან, ხან მეორე. საერთო გეოპოლიტიკური სურათი იხატება ისე, რომ რეგიონს რუსეთი აღიქვამს თავის ბუფერულ ზონად და საკუთარი პერიფერიული უსაფრთხოების ნაწილად. აქედან გამომდინარე რუსეთისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ კავკასიას მთლიანად. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს როლს ამ საკითხში, ის მიისწრაფვის ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ზონის კონტროლისაკენ. ნატოს გაფართოებას კი მოყვება აღმოსავლეთ კავკასიის ნაწილის მთლიანად კონტროლს და როდესაც ეს რეგიონი დააკმაყოფილებს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის კრიტერიუმებს, ამერიკა უფრო საფუძვლიანად მოიკიდებს ევრაზიულ უსაფრთხოების ზონაში ფეხს.

უსაფრთხოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა ნაციონალურ-პოლიტიკური პრინციპი, რომელიც ასევე გადამწყვეტ როლს თამაშობს, რადგან თუ ეროვნული უსაფრთხოება არ არის გამართული რეგიონში სტაბილურობის მიღწევაზე საუბარი ზედმეტია. ისტორიას თუ გადავხედავთ საბჭოთა კავშირის დამანგრეველმა პოლიტიკამ საკმაოდ დიდი პრობლემები შეუქმნა სამხრეთ კავკასიას, განსაკუთრებით რთული ეთნიკური ურთიერთობები და ამასთანავე გარე რეგიონული და არარეგიონული ძალების ჩარევა ამ კონფლიქტებში.

[26] A.Jafalian. „Reassessing Security In The South Caucasus: Regional Conflicts And Transformation" USA, New York. 2011 p.209

რაც შეეხება ეკონომიკურ და რეგიონალურ თანამშრომლობის პრინციპებს, რა თქმა უნდა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ორივე მათგანს. ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების პოლიტიკა შესაძლებელია ორ ჭრილში განვიხილოთ, პირველი ეკონომიკის აყვავების და მეორე დესტაბილიზაციის, რადგან თუ ეს პოლიტიკა ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას და კაპიტალდაბანდებებს, შესაძლებელია აგრეთვე ნარკოტრეფიკისა, იარაღის ვაჭრობისა და ტერორიზმის მუქარის გამომწვევი მიზეზი იყოს. ამასთან რეგიონალური უსაფრთხოება, რომელიც ფართოდ შესწავლილი პრინციპია და კავკასიის უსაფრთხოების უამრავი მოდელი არსებობს, თუ სწორად არ მოხდა ამის გამოყენება და ფორმულირება, შესაძლოა სავალალო შედეგები გამოიწვიოს.

სამხრეთ კავკასიაში დღესდღეისობით უსაფრთხოების ერთიანი გაგება არ არსებობს, რადგან მიდგომები სხვადასხვანაირია. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ რეგიონის სახელმწიგოებს განსხვავებული პოზიციები აქვსთ ამ პრობლემისადმი, ერთი მხრივ, აზერბაიჯანი და საქართველო დადებითად ეკიდებიან უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შემუშავებას, მეორე მხრივ სომხეთი მაინცდამაინც პოზიტიურად არაა განწყობილი ამ იდეისადმი, რადგან თვლიან რომ ეს მათ ქვეყანას არ გამოადგება და მეტიც დაღუპავს.

უსაფრთხოების სისტემაზე საუბარი ამერიკაში XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყეს, როდესაც ბზიგნევ ბჟეზინკიმ აქტიურად დაიწყო ინტერესის გამოვლენა სამხრეთ კავკასიის, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანის მიმართ. თუ 90 -იან წლების დასაწყისამდე ამერიკისთვის სამხრეთ კავკასია ეროვნული ინტერესების პერიფერიას წარმოადგენდა, 1996 წლიდან დიდი ინტერესი გაჩნდა კასპიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ.[27]

სომხეთის პრეზიდენტმა კოჩარიანმა სტამბულის სამიტზე წამოაყენა სქემა „კავკასიური უსაფრთხოების პაქტის“ შესაქმდელად, რომელიც მოიცავდა საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანს + რუსეთ-თურქეთ-ირანი +ევროკავშირი და

[27] Шугарян.Р. Стобильность на Кавказе, восемь принципов регионального сотрудничесва. „Центральая Азия и Кавказ“. N1. 2001. стр. 7

აშშ-ს კავშირს. სომეხი მკვლევარების აზრით, სახელმწიფომ ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ საერთაშორისო ზეწოლას განიცდიდნენ. ამ ზეწოლას რუსეთიც შეუერთდა, რადგან გადაწყვიტა ყარაბაღელი სომხები აგრესორებად ეცნო.

სომეხი პოლიტოლოგი ი.მურადიანი აღნიშნავს, რომ მოსკოვის ამგვარი ქმედება ყველაზე რადიკალურად განწყობილმა პრორუსულმა ძალებმაც კი ვერ ახსნეს. მისი აზრით, თუ აშშ-სთვის საჭირო გახდება, სომხეთს ადვილად აიძულებენ პოზიციები შეიცვალოს. ამდენად რესპუბლიკის პრორუსული ორიენტაცია მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლურია და კონკრეტულ შემთხვევაში თავისუფლად ინტეგრირდება რეგიონული თანამშრომლობისა და უსაფრთხოების სივრცეში. [28]

აზერბაიჯანი სომხეთის მსგავსად მიიჩნევს, რომ სამხრეთ კავკასიაში რეგიონულ უსაფრთხოების ინიციატივას ამერიკის შეერთებული შტატები ქმნის. 1996 წლის მაისში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ინიციატორი იყო მშვიდობიანი კავკასიის ინიციატივით. ამ ინიციატივას სხვა კავკასიურმა რესპუბლიკებმაც დაუჭირეს მხარი.

1999 წლიდან კი კავკასიაში უსაფრთხოების სისტემის შექმნის ინიციატივით სომხეთი გამოვიდა. საგარეო საქმეთა მინისტრმა 15 მარტს ლონდონის მშვიდობის სამეფო ინსტიტუტში წამოაყენა ორი წინადადება ახალი ორგანიზაციის შესაქმნელად. კავკასიის სტაბილურობისა და ერთობის ძიების საქმეში დასახმარებლად. ეს რა თქმა უნდა საერთო ევროპული უსაფრთხოების სისტემასაც დაეხმარებოდა.

ქართველი მკვლევარის, ე. ხოშტარია-ბროსეს ფიქრობს, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ნებისმიერი რეგიონული დაჯგუფების შექმნა შესაძლებელია ცხელი წერტილების აღმოფხვრისა და პოლიტიკური წინააღმდეგობების დაძლევის შედეგად. ამ შემთხვევაში მოსკოვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი მამოძრავებელი ფაქტორია კავკასიაში და არსებული კონფლიქტების

[28] Мурадян И. Политика США на ближнем Востоке и Формирование региональных альянсов.стр.123

გადაჭრდაც მასზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, კავკასიის ბედი ძირეულად განპირობებული რუსეთის საერთო ევროპულ-დემოკრატიულ პრინციპებთან ზიარების შემთხვევაში. [29]

დასავლეთი, რუსეთი, ირანი და თურქეთი ის სახელმწიფოებია, რომლებიც მნიშვნელოვან მანიპულირებას ახდენენ რეგიონზე, რადგან როგორც არაერთხელ ვახსენეთ ისინი მთავარი მოთამაშეები არიან და მათი ინტერესები საკმაოდ დიდია სამხრეთ კავკასიაში. აქედან გამომდინარე რეგიონული უსაფრთხოების გარანტიებიც ძირითადად მათზეა დამოკიდებული.

3.3. კავკასიის გეოსტრატეგია და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მოდელი

სამხრეთ კავკასია თავისი მიმდინარე მდგომარეობით ერთ-ერთ ყველაზე ცხელი წერტილია. სადაც იკვეთება არაერთი ქვეყნის ინტერესები (რუსეთი, საქართველო, სომხეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, დასავლეთი) რომლებიც რა თქმა უნდა ხშირად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მაგრამ არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რაშიც თანხმდებიან.

რეგიონის უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიოული მდებარეობა, რომელიც მოიცავს, როგორც შავ ზღვას, ისე კასპიის ზღვას, უკავშირდება ირანს, ბულგარეთსა და რუმინეთს და გადის ხმელთაშუა ზღვაში, კასპიის ზღვის გავლით ყაზახეთსა და თურქმენეთს, თურქეთს, შავი ზღვის მეშვეობით უკრაინას, დიდი სახმელეთო და საზღვაო გზით რუსეთს. ასევე შესაძლებელია მოკრე დროში საჰაერო გზით მოხდეს კავშირი ცენტრალური აზიის ქვეყნებთამ ერაყთან, ავთანეთთნ და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან.

უნდა აღვნიშნოთ სამხრეთ კავკასიის, როგორც ენერგოდერეფნის არსებობა. არსებული ენერგორესურსების გარდა, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოსა

[29] Хоштария-броссе Э. Кавказский политический узел в прошлом и настоящем. „Центральная Азия и Кавказ “. N5(17). 2001. Стр. 86.

და თურქეთის გავლით ევროპაში მიდის, ის პოტენციური დერეფანიცაა, სადაც შეიძლება გაიაროს ცენტრალური აზიისა და კასპიის აუზის ქვეყნებში არსებულმა რესურსებმა. არ უნდა დაგვავიწყდეს სატრანსპორტო სავაჭრო კავშირების მაგისტრალი (ბაქო-თბილისი-ყარსი), რომელიც პირდაპირ აკავშირებს აზერბაიჯანს საქართველოს და თურქეთს ერთმანეთთან. ეს იქნება ძალიან კარგი საშუალება, რომ რაც შეიძლება მოკლდე ხანში მოხდეს ევროპულ ან აზიურ ქვეყნებთან დაკავშირება. საგზაო მაგისტრალების მოწესრიგებამ და სასაზღვრო გამშვები პუნქტების გამართვამ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დაახლოებას შეუწყო ხელი და ასევე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. სამხრეთ კავკასია იძლევა სწორედ იმის საშუალებას, რომ რეგიონში განვითარდეს და გაფართოვდეს ბიზნესი და ხელი შეეწყოს ეფექტურ ვაჭრობას, რომელიც როგორც აზიურ ისე ევროპული ნაწარმის შემოტანას და გაყიდვას უზრუნველყოფს.

სწორედ სამხრეთ კავკასია იყო ის რეგიონი რომელზეც გადიოდა „აბრეშუმის გზა“. ყურადღებას თუ გავამახვილებთ ამ პროექტის ხელახალ განვითარებაზე („ახალი აბრეშუმის გზა“) შესაძლოა აღნიშნული პროექტი ცენტრალური და სამხრეთ აზიის ქვეყნებისათვის „პოლიტიკური პრიორიტეტი ნომერი ერთი“ გახდეს. ეს კი, რა თქმა უნდა სამხრეთ კავკასიის გეოსტრატეგიული ინტერესია. რომელიც საერთოდ არ ემთხვევა რუსეთის ინტერესებს, რადგან ამერიკული „ახალი აბრეშუმის გზის“ კონცეფცია რუსეთისა და ჩინეთის გვერდის ავლით ცენტრალური აზიის ენერგო რესურსებზე კონტროლის მოპოვებას გულისხმობს.

სამხრეთ კავკასია თავისი აქტუალობით ვერასდროს დაკარგავს გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას. სწორედ რეგიონის გეოსტრატეგია განსაზღვრავს მასში შემავალი ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს და გადადგმულ ნაბიჯებს.

საგარეო პოლიტიკა ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს მთავარ ატრიბუტს წარმოადგენს ის დიდ ზემოქმედებას ახდენს საშიანაო პოლიტიკაზე

და პირიქით. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს ორივე მათგანი, რათა არ მოხდეს სისტემური ქაოსი ქვეყანაში და ზოგადად რეგიონში.

საქართველოსთვის როგორც პატარა და რთული გეოპოლიტის მქონე სახელმწიფოსთვის, მწყობრი საგარეო პოლიტიკა ნიშვნელოვანია უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად. მისი როლი კრიზისებში უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება. უფრო ზუსტად, დიდი რესურსების მქონე რუსეთის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველოყოფის ძირითად და მთავარი საშუალებაა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

აღსაღნიშნი ფაქტია ის, რომ საგარეო პოლიტიკური კურსი, განცხადებებისა და ქმედებების ერთობლიობაა. განცხადება ესაა საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში, სამხედრო დოქტრინაში, ოფიციალურ დოკუმენტეში (უსაფრთხოების კონცეფციაში) პარტიის პროგრამასა თუ სხვა დოკუმენტებში არსებული დებულებები. ასევე ქვეყნის ხელისუფლებლების (აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები) მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებები (ქვეყნის შიგნით და გარეთ); საერთაშორისო პრესასთან გაკეთებული ოფიციალური განცხადებები და „გზავნილები"; საერთაშორისო დოკუმენტებში დაფიქსირებული პოზიციები.

საგარეო პოლიტიკურ ქმედებებს წარმოადგენს :

- ✓ დიპლომატიური ქმედებები (ოფიციალური, სამუშაო ვიზიტები, შეხვედრები, ა.შ;
- ✓ საერთაშორისო ნიციატივები;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიურობა;
- ✓ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება;
- ✓ დიპლომატიური ქმედებების დამხმარე საშუალება, ლობისტების მუშაობა.

სწორედ კომპონენტების ერთობლიობა წარმოადგენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საზომს. [30]

---

[30] საქართველოს საგარეო პოლიტიკა (http://forbes.ge/news/389/saqarTvelos-sagareo-politika - უკანასკნელად გადამოწმებულია 01.06.2019)

საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა ყოველთვის დამოკიდებული იყო და ახლაც არის სხვა ქვეყნების ნებაზე და საუკუნეების მანძილზე ქვეყნის მეთაურები ევროპიდა და ხლო აღმოსავლეთის ჩრდილქვეშ ამაოდ ეძებდნენ სხნას. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვანი ქვეყნებისთვის საქართველოს მხოლოდ პერიფერიულ ობიექტის სტატუსი ჰქონდა. „აფხაზეთის ომში“ დამარცხების შემდეგ ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა აშკარად რუსეთისკენ იყო მიმართული, რასაც ადასტურებს როგორც „დსთ“-ში შესვლა ისე მაშინდლი საკადრო პოლიტიკა.

2004 წლიდან სიტუაცია შეიცვალა და საქართველოს მთავრობა ვარაუდობდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრა, კერძოდ, სეპარატისტული კონფლიქტების მოგვარება და ნატო-ში ინტეგრირება. ეს მიზნები დღემდე მნიშვნელოვანია, მაგრამ დროიც მცირე მონაკვეთში ამის განხორციელება ნაკლებად რეალისტურია. რა თქა უნდა საგარეო პოლიტიკა გრძელვადიან გეგმებზე უნდა იყოს დამყარებული.

საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა 2004-2007 წლებში, რომელიც საქართველოს უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე ევროკავშირში, მეორე პლანზე წევდა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობას. ნატოში გაწევრიანებ აამერიკის შეერთებულ შტატებზე იყო დიდწილად დამოკიდებული. ასევე ამერიკას მეტი გავლენა ჰქონდა რეგიონის ქვეყნებზე ვიდრე ევროპის ქვეყნების გავლენას. მაგრამ ტრანსატლანტიკური მეტოქეობისა და ეჭვიანობის პირობებში, საქართველოსა და აშშ-ს ურთიერთობამ გააძლიერა დასავლეთევროპული ქვეყნების წინააღმდეგობა ნატო-ში გაწევრიანებისადმი. [31]

2016 წლის საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის მიხედვით, სადაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანებია გაწერილი მთავარ

---

[31] საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: მივყვეთ არჩეულ კურსს, მაგრამ მოვერგოთ ახალ რეალობას (http://www.nplg.gov.ge/-უკანასკნელად გადამოწმებულია 01.06.2019)

პრიორიტეტებად კვლავ ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია და მშვიდობიანი გზით, განსაკუთრებით-საოკუპაციო ხაზებით მოსახლეობის შერიგება და ნდობის აღდგენა, საქართველოს საერთაშორისო აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რჩება.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანებაა, რისთვისაც ქვეყნის ხელისუფლებას საკმაოდ რთული ნაბიჯების გადადგმა მოუწევს.

ხელისუფლება გააღრმავებს ევროპის ქვეყნებთან ორმხრივ და მრავალმხრივ სტრატეგიულ პარტნიორობას. ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს მიზანმიმართული მუშაობა, რათა განხორციელდეს ნატოს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მოკავშირეების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სადაც ნათლადაა გაჟღერებული, რომ საქართველო „გახდება ნატოს წევრი“.

აღმოსავლეთ ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის კიდევ ერთი პრიორიტეტია. 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დოკუმენტის მიხედვით საქართველო უზრუნველყოფს საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაში მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას. განსაკუთრებული ყურადღება ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ იქნება მიმართული, რაც საქართველოს დასავლეთისკენ აღებული კურსისადმი საზოგადოებისს დიდი მხარდაჭერის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. [32]

საქართველოს უახლესი საგარეო პოლიტიკური მოდელი დეტალურადაა გაწერილი 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტში. სანამ უშუალოდ დოკუმენტში არსებულ მიზნებზე და ამოცანებზე

[32] რეზოლუცია_საგარეო_პოლიტიკის_შესახებ (http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/53453/- უკანასკნელად გადამოწმებულია 02.06.2019)

გადავალთ ცოტა ყურადღება დავუთმოთ დღევანდელ საერთაშორისო გარემოს, რომელში ყოფნაც ჩვენს ქვეყანას არც თუ ისე იოლად უწევს.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში პროცესები საკმაოდ დინამიურად და სწრაფად იცვლება. ვითარდება გლობალიზაცია და ტექნოლოგიები, რამაც ახალი საფრთხეები გააჩინა. შესაბამისად საერთაშორისო წესრიგიც სულ უფრო და უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დგება. მთავარ საფრთხეებად ისევ და ისევ ძალადობრივი ექტრემიზმი, რადიკალიზაცია, ტერორიზმი, კიბერტერორიზმი რჩება.

გლობალური მასშტაბით მიმდინარე მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია იმ ახალ შესაძლებლობებს ქნის, რაც მოითხოვს გარემოსთან სწორ და სწრაფ ადაპტაციას. თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში არსებული დღევანდელი გამოწვევები კი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აღმოსავლეთ ევროპა-შავი ზღვის რეგიონზე. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა და რუსეთის მიზანმიმართულმა აგრესიამ რეგიონის უსაფრთხოებაზე სერიოზული გავლენა იქონია.

დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე პრაგმატული და შედეგზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარება ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთხლიანობის განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობას, საერთო ევროპულ ოჯახსა და ინსტიტუციური დემოკრატიის შემდგომ კონსოლიდაციასა და საქართველოს ღირსეული ადგილის დამკვიდრებას უზრუნველყოფს.

საქართველოს დღევანდელ საგარეო პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებს თუ გადავხედავთ გვაქვს შემდეგი სურათი სადაც ყურადღება გამახვილებულია სხვადასხვა მიმართულებებზე. სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველოს სახელმწიფომ ყველანაირად უნდა აღკვეთოს აფხაზეთისა და ცხნვალის რეგიოების ანექსია და მოახდინოს რეგიონის დეოკუპაცია უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად.

ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფვა მიმართულია სავაჭრო სივრცის შესაძლებლობების ეფექტური განხორციელებისაკენ, უსაფრთხოების პოლიტიკის

განვითარებისკენ და ასევე მიგრაციის საკითხში სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციიკენ.

ნატო-ში გაწევრიანება - საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მონაწილეობას საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. ქვეტნის მიზანია ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის, როგორც ალიანსთან პრაქტიკული თანამშრომლობის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტის, ეფექტიანი გამოყენება, შავი ზღვის უსაფრთხოებაში წვლილის შეტანის მიზნით ალიანსთან თანამშრომლობის გაძლიერება. საქართველო აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ნატო-ს წვრთნებსა და სწავლებებში, დაამყარებს და გააღრმავებს ნატო-ს წევრ ქვეყნებთან ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობას.

ინსტიტუციური დემოკრატიის კონსოლიდაცია და საზღვარგარეთ ქვეყნის პოზიტიური იმიჯის განმტკიცება, რაც გამოიწვევს დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომ განვითარებასა და გაძლიერების პროცესს, განმტკიცდება დემოკრატიული რეფორმების კუთხით საქართველოს, როგორც რეგიონის ლიდერი ქვეყნის იმიჯი, პოპულარიზაციას გაუწევს ქვეყანას, როგორც მდიდარი კულტურისა და მრავალსაუკონოვანი ისტორიის მქონე ქვეყნის პოპულარიზაციას.

მდგრადი ეკონომიკური განვითარება განამტკიცებს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ ჰაბის ფუნქციასა და ენერგეტიკული და საინვესტიციო პროექტების რეალიზაციას. გაფართოვდება სავაჭრო რეჟიმები და ექპორტს შეეწყობა ხელი, გაძლიერდება შავი ზღვის ეკონომიკური როლი.

დიასპორასთან კავშირების გაღრმავება და საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა განამტკიცებს დიასპორის ერთიანობას, სიძლიერესა და სამშობლოსთან მშიდრო კავშირს, ასევე მოხდება საზღვარგარეთ,

საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა და მათი ინტერესების რეალიზაცია. [33]

ეს ის ძირითადი ამოცანებია, რომელიც 2019-2022 წლის საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაშია გაწერილი.

[33] 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია (http://mfa.gov.ge/-უკანასკნელად გადამოწმებულია 09.06.2019)

დასკვნა

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში განვიხილეთ სამხრეთ კავკასიის ისტორია და მისი განვითარების ეტაპები, საგარეო პოლიტიკური ვექტორები და უსაფრთხოების პრობლემები რეგიონში, ასევე ორი ბუმბერაზი სახელმწიფოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში შემავალი ქვეყნებისადმი.

სამხრეთ კავკასია თავისი მნიშვნელობით ყოველთვის იქნება ინტერესთა გადაკვეთის არეალი, რადგან ბევრი ქვეყანაა დაინტერესებული ამ რეგიონში არსებული რესურსების გამოყენებით. განსაკუთრებით კასპიის რესურსების ტრანზიტის კონტროლის შესაძლებლობას. ამის გათვალისწინებით მომავალში შესაძლო დაპირისპირებათა ერთ-ერთ ძირითად თემად ტრანზიტის კონტროლი ყოველთვის იქნება ძირითადი მიზეზი.

რეალიზმის პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც დაგვეხმარა ნაშრომზე მუშაობისას ნათლად ჩანს, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა დამოკიდებულია შიდა პოლიტიკაზე, შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების დღევანდელი საგარეო პოლიტიკის სტრატეგია იდეალიზმიდან რეალიზმისკენ შემობრუნების ნათელი მაგალითია და საერთაშორისო პოლიტიკაში ძალას და ძალაუფლებას ანიჭებს მთავარ როლს. შესაბამისად სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობაშიც ამერიკის დამოკიდებულება აღნიშნულ პოლიტიკას ახორციელებს.

მაგრამ ეს, რომ მხოლოდ ასე იყოს მაშინ სამხრეთ კავკასიური პრობლემის თემა შედარებით ადვილი გასახსნელი იქნებოდა-ნებისმიერი კონტროლი გავლენის ხაზების დაბალანსებაა, ხოლო ეს ზოგჯერ ძნელად მისაღწევი, თუმცა მაინც მიღწევადი შეთანხმების საგანია. მითუმეტეს, თუ კონტროლის შემძლე და განხორციელების პრეტენზიის და ამბიციის მქონე ქვეყნების რიცხვი არ არის დიდი, ხოლო სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში კი უფრო ნაკლებიც. სწორედ ამიტომაა სამხრეთ კავკასიის პრებლემების ასეთი კუთხით განხილვა

მომხიბვლელი, რადგან რეგიონის „დიდი მოთამაშეები“ ყოველთვის ახერხებენ საერთო ენის პოვნას და მათი გეოპოლიტიკური ვნებების დაკმაყოფილებას.

სამხრეთ კავკასია, თავისი გეოპოლიტიკური მდგებარეობიდან გამომდინარე ოდითგანვე იყო დიდი იმპერიების ინტერესების არეალი. რეგიონი წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ გზაჯვარედინს, სადაც იკვეთებოდა ჩრდილოეთ-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული წერტილები. ამიტომ რეგიონის წინაშე ყოველთვის იდგა არა თვითგანვითარებისა და მეტი გავლენის მოპოვების, არამედ უბრალოდ თავის გადარჩენის და იდენტობის შენარჩუნების სურვილის წინაშე (მცირე გამონაკლისების გარდა).

რეგიონის ქვეყნები ვერასდროს ახერხებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებას და ერთმანეთთან დაპირისპირებით კიდევ უფრო ამცირებდნენ წინააღმდეგობის დაძლევის შესაძლებლობას. ეს ერთგვარად გამოწვეული იყო ეთნიკურობის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და სოციალური ნიშნის მრავალფეროვნებით.

სამაგისრტო ნაშრომში პასუხები გავეცით ჩვენი თემის მთავარ საკვლევ კითხვებს. ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად სამხრეთ კავკასიაში გეოგრაფიულ გარემოს ასახელებენ და თავდაცვისთვის აუცილებელი მთების, ტყეებისა და მაღალპროდუქტიული ნიადაგის არსებობას გულისხმობენ, მაგრამ ამ გარემოებასაც აქვს თავისი მინუსები. რადგან მაგალითად მთები ერთი მხრივ თუ წარმოადგენენ ბუნებრივ ბარიერებს, მეორე მხრივ შეიძლება კომუნიკაციის შეზღუდვის, რეგიონების იზოლირებისა და სეპარატიზმის ხელის შემწყობი ფაქტორი გახდეს. სამხრეთ კავკასია მკვეთრად გამოკვეთილ მთლიანობას წარმოადგენს, მაგრამ მისი გეოგრაფიული უპირატესობები, ერთგვარი ილუზიაა.

ცივი ომის დასრულებისა და სამხრეთ-კავკასიის რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების ოცი წლის თავზე, შეიძლება ვთქვათ, რომ რეგიონის მოუგვარებელი და პირველხარისხოვანი პრობლემების რიგში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები დგას. ყარაბაღი და საქართველოს

სეპარატისტული რეგიონები შესანიშნავი თვალსაჩინოებაა სამხრეთ კავკასიის ამსახველი ზოგადი სურათის აღსაქმელად. რეგიონში საკმაოდ მძაფრად დგას უსაფრთხოების პრობლემა, რომლის გადაჭრისთვისაც ისევ გარე ძალების ჩართვა ხდება საჭირო სიტუაციის დასასტაბილურებლად. შესაბამისად ჩნდება კითხვა, ვინ არიან „დიდი მოთამაშეები“, რომლებიც იწვევენ და მართავენ ამ არასტაბილურობას?

მოცემული ჰიპოთეზის განსამტკიცებლად ნაშრომში განხილულია რეგიონში წამყვანი ქვეყნების რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატების, სტრატეგიული ინტერესები. რუსეთმა, რომელმაც დაძლია საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული ფსიქოლოგიური არასრულფასოვნების განცდა და საკუთარი ინტერესები გადამტკიცა სამხრეთ კავკასიაში. ამით მან, გარკვეული პერიოდით ევროპა შეაჩერა და დაუკარგა „თამაშის“ ხალისი. რთული წარმოსადგენია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იმავე სიხისტით და პირდაპირობით იმოქმედოს, როგორც რუსეთმა 2008 წელს, მაგრამ ასევე არ დაუშვებს პასიურ როლში დიდხანს ყოფნას და რუსეთისთვის ენერგორესურსების ნაკადების კონტროლის დათმობას. რადგან ამერიკის შეერთებული შტატები გლობალური მოთამაშეა რეგიონში ისიც თავისი ინტერესების გატარებას ცდილობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მისი ფინანსური და დიპლომატიური რესურსი საკმარისია იმისთვის რომ აკონტროლოს მოვლენები და შეინარჩუნოს საკუთარი ინტერესების მიმართულებით განვითარების პოტენციალი. ყოველ შემთხვევაში, იმ დრომდე, ვიდრე მისი ინტერესების აღიარება რეგიონულ მოთამაშეთა მიერ არ მოხდება.

სამხრეთ კავკასიის „საჭადრაკო დაფას“ თუ გადავხედავთ რეგიონის ქვეყნები აქ მხოლოდ ფიგურების სტატუსს ირგებენ. ამ ქვეყნებს შორის შედარებით ძლიერად და სტაბილურად სომხეთი გამოიყურება, მაგრამ მას რუსეთი უმაგრებს ზურგს, როგორც თავის სატელიტს რომლის გავლენაც უფრო და უფრო ძლიერდება ქვეყანაში. სწორედ ეს ფაქტორი უფრო განაპირობებს სომხეთის ამ სტატუსს რეგიონში, რადგან მას ინდივიდუალურად არც დემოგრაფიული, არც

ბუნებრივი და ფინანსური რესურსი გააჩნია. აზერბაიჯანს რაც შეეხება, სომხეთისგან განსხვავების ფინანსურ საკითში ნამდვილად არ აქვს პრობლემა და არც დემოგრაფიულ და ბუნებრივ რესურსებს უჩივის, ის უფრო ტრიმერის ფუნქციას უფრო ითავსებს და იმ ფიგურას წარმოადგენს რომლისთვისაც იბრძვიან ვიდრე თამაშობენ. საქართველო ამ დაფაზე ყველაზე დაუცველად გამოიყურება. მას ბუნებრივი რესურსი გააჩნია, მაგრამ დემოგრაფიულად აზერბაიჯანს, ხოლო ფინანსურად აზერბაიჯანსაც და სომხეთსაც ჩამორჩება. აღსაღნიშნია ის ფაქტი, რომ „დიდი მოთამაშეების“ ინტერესების გადაკვეთა ყველაზე მეტად საქართველოში ხდება, შავი ზღვის სანაპიროს შესაძლებლობათა გამო, რადგან თუ საქართველომ არ მისცა უფლება სომხეთიც და აზერბაიჯანიც გარე სამყაროსთვის ერთგვარად „ჩაკეტილი“ იქნება.

იმისათვის, რომ რეგიონში არსებული ვითარება ოდესმე მაინც შეიცვალოს და სამხრეთ კავკასიის რეგიონსა და მასში შემავალ ქვეყნებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა საკუთარი ბედის თვითონ გადაწყვეტის, აუცილებელია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და სერთო სამხრეთ კავკასიური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც საშუალებას მისცემს რეგიონს არა მხოლოდ პასიურ როლში იმყოფებოდეს და დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთის არეალი იყოს, არამედ დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათიანი ს. ჰაინრიხ ბიონლის ფონდი. „სამხრეთ კავკასია გზაჯვარედინზე: რთული რეალობა და დიდი მოლოდინები“. თბილისი. 2014.
2. გორგილაძე ი. „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი, 2009.
3. დუგინი ა. „გეოპოლიტიკის საფუძვლები“. 1998 წ.
4. თურმანიძე თ. „ბუფერული სახელმწიფოები“, დისერტაცია, თბილისი. 2010
5. ოპიცი პ. ხარაზიანი ა. პასოიანი ა. მარგველაშვილი მ. გურბანოვი მ. „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდგრადი ენერგეტიკის პოლიტიკა: განვითარების შესაძლებლობები და არჩევანი“ გამომცემლობა „ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო“. თბილისი 2015წ.
6. ტლაშაძე ნ. ჯულიმანი ე. ცქიტიშვილი ა. „ნდობა და მშვიდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში“ გამომცემლობა „გლობუსის“ სტამბა. თბილისი 2015 წ.
7. ჩიქოვანი ნ. „რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში“. თბილისი. 2006
8. ჯოჯუა დ. აფხაზეთი 1918-2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის აპექტები; თბ.; 2007წ.
9. Мурадян И. Политика США на ближнем Востоке и Формирование региональных альянсов.стр.123
10. Шугарян.Р. Стобильность на Кавказе, восемь принципов регионального сотрудничесва. „Центральая Азия и Кавказ“. N1. 2001. стр. 7
11. Хоштария-броссе Э. Кавказский политический узел в прошлом и настоящем. „Центральная Азия и Кавказ “. N5(17). 2001. Стр. 86.
12. Jafalian A. „Reassessing Security In The South Caucasus: Regional Conflicts And Transformation“ USA, New York. 2011
13. Nichol J. Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests. CRS Report for Congress 2007, p. 25.
14. Papava V., A New View of the Economic Ability of the Government, Egalitarian Goods and GNP. International Journal of Social Economics, Vol. 20, No.8, 1993.

ინტერნეტ რესურსები:

15. ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.4&d=HASH01102d428fe5f220a31b5580.4.2
16. აზერბაიჯანის ეკონომიკის მიმოხილვა, TACIS კვარტალური ბიულეტენი, აპრილი-ივნისი,2001(http://www.azstat.org/statinfo/consumermarket/az/index.shtml- (უკანასკნელად გადამოწმებულია 01.05.2019)

17. მალხაზ ხაზარბეგიშვილი. ახალგაზრდული ჟურნალი ,,360 გრადუსი“. 2013 წელი. (**www.360gradus.ge-** (უკანასკნელად გადამოწმებულია 02.05.2019)
18. აშშ-ს კავკასიური პოლიტიკა და ზემოქმედების ახალი ბერკეტები https://www.militarium.org/amerikis-kavkasiuri-politika/-(უკანასკნელად გადამოწმებულია 02.05.2019)
19. ჰანგთინგტონი ს. „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“. http://www.culturedialogue.com/resources/library/translations/huntington_1.shtml-(უკანასკნელად გადამოწმებულია 02.05.2019)
20. სომხეთი ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრი გახდა, http://www.tabula.ge/ge/story/88518-somxetievraziuli-ekonomikuri-kavshiris-tsevri-gaxda-(უკანასკნელად გადამოწმებულია 01.05.2019)
21. სომხეთიევრაზიულკავშირსადაევროკავშირსშორის.https://www.ambebi.ge/article/217355-somxetievraziul-kavshirsa-da-evrokavshirs-shoris–(უკანასკნელად გადამოწმებულია 01.05.2019)
22. სომხეთი-ევროკავშირი. მეორე, წარმატებული მცდელობა. https://jam-news.net/?p=72425&lang=ka,(უკანასკნელად გადამოწმებულია 30.04.2019)
23. Armenian president receives coordinator of U.S. assistance to European and Eurasian countries. Armenpress, 15.5.2008. (https://armenpress.am (უკანასკნელად გადამოწმებულია 06.06.2019)
24. პირობითი ჩართულობა, აშშ-ს საქმიანობა სამხრეთ კავკასიაში https://ge.boell.org (უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)
25. Georgia to withdraw all of its troops from Iraq. AFP, 9.8.2008. http://www.spacewar.com/reports/Georgia_to_withdraw_all_of_its_troops_from_Iraq_999.html-(უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)
26. Michael Kuser: US Flip-Flops on Caspian Gas. BusinessWeek, 25.9.2007. (https://www.bloomberg.com/news/articles/2007-09-25/u-dot-s-dot-flip-flops-on-caspian-gasbusinessweek-business-news-stock-market-and-financial-advice-უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)
27. აშშ-ს მიერ იარაღის გაყიდვის აკრძალვა აზერბაიჯანის შეიარაღებას ხელს არ შეუშლის http://reporter.ge/ass-is-mier-tavdacvis-mom/- (უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)
28. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. 2015-2018 წ.წ. http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx-(უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)
29. ნატო-რუსეთი http://www.nplg.gov.ge/- (უკანასკნელად გადამოწმებულია 04.06.2019)
30. საქართველოს საგარეო პოლიტიკა http://forbes.ge/news/389/saqarTvelos-sagareo-politika -(უკანასკნელად გადამოწმებულია 01.06.2019)

31. საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა: მივყვეთ არჩეულ კურსს, მაგრამ მოვერგოთ ახალ რეალობას http://www.nplg.gov.ge/-(უკანასკნელად გადამოწმებულია 01.06.2019)
32. რეზოლუცია_საგარეო_პოლიტიკის_შესახებhttp://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/53453/-(უკანასკნელად გადამოწმებულია 02.06.2019)
33. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია (http://mfa.gov.ge/-(უკანასკნელად გადამოწმებულია 09.06.2019)